


31
8-12

ბ.ს. გაბიაშვილი

ფისკალური სტატისტიკა

თბილისი 2004 წ.

ბ.ს. გაბიაშვილი



ფისკალური სტატისტიკა

თბილისი 2004 წ.

ნაშრომში განხილულია საგადასახადო-საბიუჯეტო ანუ ფისკალური სტატისტიკის აქტუალური საკითხები გარდამავალი პერიოდის საქართველოში. მასში ასახვა ჰპოვა ავტორის მიერ დამუშავებულმა სრულიად ახალმა მეცნიერულმა მიდგომებმა და სტატისტიკურმა მეთოდოლოგიამ (სამთავრობო ფისკალური პოლიტიკა და სტატისტიკა, ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკური კოეფიციენტები მოსახლეობის კვარტალური, დეცილური და პერცენტული განაწილებისთვის, საბიუჯეტო და საგადასახადო სტატისტიკაში ახალი ინდექსები, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დადგენის სტატისტიკური მეთოდოლოგია და სხვ.).

წიგნი განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტთათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისთვის.

რედაქტორი, ეკონომიკურ-მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ს. გელაშვილი
რეცენზენტი, ეკონომიკურ-მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ნ. აბესაძე

შესავალი

სახელმწიფოს მიერ მონეტარული ანუ ვალუტის კურსის განმტკიცებისა და ფისკალური ანუ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფისკენ მიმართულ ღონისძიებათა გატარება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის თანამედროვე პერიოდში. ოპტიმალური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება ქმნის ხელსაყრელ ეკონომიკურ გარემოსა და კლიმატს ქვეყანაში მეწარმეების განვითარებისა და მთელი ეკონომიკის აღმავლობის საქმეში. ამ გზით ქვეყანაში მიღებული დამატებითი შემოსავლების ნაწილის საგადასახადო სისტემის მეშვეობით ამოღებასა და სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზაციას მყარი სამართლიანი ეკონომიკური საფუძველი ექნება. ამიტომ მთავრობის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ვალუტის კურსის განმტკიცებას, მეწარმეობისა და მთელი ეკონომიკის აღმავლობის ეკონომიკურ სტიმულირებას, ამ საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, ხარჯვითი ნაწილის ოპტიმიზაციას და საბოლოოდ მოსახლეობის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის ამაღლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შიშველი ფორმით გადასახადების ამოღება, მათი განაკვეთების დაუსაბუთებელი გადიდება უცხოური სტანდარტების მიხედვით მძიმე საგადასახადო ტვირთად დააწვება ქვეყანასა და უცილობლად გამოიწვევს ეკონომიკის დაქვეითების, ხელფასების, პენსიებისა და სტიპენდიების გაუცემლობას, როგორც ამას ამჟამინდელ საქართველოში აქვს ადგილი. საგადასახადო განაკვეთების საერთო ჯამი უნდა შეესაბამებოდეს არა რომელიმე სხვა, არამედ მოცემული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და უზრუნველყოს ეკონომიკის აღმავლობის სტიმულირება.

მამასადამე, ფისკალური პოლიტიკა ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი გატარება ყოვლად წარმოუდგენელია შესაბამისი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი ანალიზის, მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკისა და პროგნოზირების შესწავლის გარეშე, რასაც სტატისტიკური მეცნიერება და კერძოდ, ფისკალური სტატისტიკა ემსახურება.

თემა I. ფისკალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდი

1. ფისკალური სტატისტიკის ცნება და ამოცანები

სიტყვა „ფისკალი“ ლათინური სიტყვა fiscalic-განაა წარმოშობილი და ნიშნავს სახაზინოს, ხოლო ფისკალური პოლიტიკა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკაა, რომელსაც ენციკლოპედიური გამარტებით მთავრობა ახორციელებს და ბეგვრისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გასაველების სფეროში, გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენებას ეკონომიკური ზრდის სტიმულირების, ანტიციკლური რეგულირების, ინფლაციის შეზღუდვისა და აქტიური საგარეო სავაჭრო ბაოანსის მიღწევის მიზნით. მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში განუხრელად წარმოიშობა, ვითარდება და გარდაიქმნება ფისკალური მოვლენები და პროცესები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების, შემოსავლების წყაროების, აგრეთვე ბიუჯეტის ხარჯების წარმოშობა და ცვალებადობანი დროსა და სივრცეში, შემოსავლებისა და გასაველების სტრუქტურა სხვადასხვა ნიშნების, აგრეთვე დინამიკა ქრონოლოგიური თარიღების მიხედვით.

საგადასახადო სისტემა, მათი განაკვეთები, გადასახადების სტრუქტურა, ცვალებადობა დროისა და სივრცის მიხედვით, საბაჟო მოვლენებისა და პროცესების წარმოშობანი და ა.შ. ისტორიულად ამ მოვლენებისა და პროცესების წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია სახელმწიფოების წარმოშობასა და განვითარებასთან. სტატისტიკის ზოგადი თეორიიდან მკითხველმა კარგად იცის, რომ სტატისტიკის წარმოშობა და განვითარება პირველყოვლისა როგორც ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის სფერო (მოსახლეობის აღწერები ქონებრივი ცენზისა და გადამხდლოუნარიანთა ნიშნების მიხედვით და სხვა) და შემდეგ როგორც მეცნიერე-

ბა (სტატისტიკური სამეცნიერო გამოკვლევები, აღწერების მეთოდური მითითებანი და ა.შ.) სწორედ სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარებასთანაა დაკავშირებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად, პირველ რიგში, სწორედ ფისკალური მოვლენებისა და პროცესების შესწავლის აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში, რადგან სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისთვის ბუნებრივია შესაბამისი ხარჯებიც იყო საჭირო და მათი დაფარვისთვის საგადასახადო სისტემის განვითარების აუცილებლობაც.

ამის პარალელურად სახელმწიფოში ვითარდებოდა, აგრეთვე, საერთო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები და პროცესები, რის შესწავლასაც, როგორც უკვე ცნობილია, აწარმოებდა და დღესაც ემსახურება სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. მაშასადამე, ფისკალური სტატისტიკა სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მისი გამოყოფა ცალკე სასწავლო და სამეცნიერო დისციპლინად საბაზრო ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

რა ამოცანები დგას ფისკალური სტატისტიკის წინაშე? სტატისტიკის ზოგადი თეორიისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის მსგავსად, ფისკალური სტატისტიკა ფისკალური მოვლენებისა და პროცესების სფეროში მიზნად ისახავს გადაწყვეტოს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1) ფისკალური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი განსაზღარულობა, მათი მოცულობა დროისა და სივრცის მიხედვით;

2) ფისკალური მოვლენებისა და პროცესების სტრუქტურა, აგებულება, შემადგენლობა სხვადასხვა ნიშნებით;

3) მათი ვარიაცია, დინამიკა დროისა და სივრცის მიხედვით;

4) ფისკალური მოვლენებისა და პროცესების სხვა მოვლენებთან დიალექტიკური ურთიერთკავშირის სტატისტიკური შესწავლა;

5) ამ მოვლენებისა და პროცესების განვითარების პროგ-

ნოზირება, რამეთუ, რა გინდ საზოგადოებრივი მოვლენა არ უნდა განვიხილოთ. მასში ყოველთვის ჩანს წარსულის ნაშთები, აწმყოს სურათი და მომავლის ჩანასახები. მაგალითად, გადასახადების სფეროს ფისკალური სტატისტიკა შეისწავლის გადასახადების საერთო მოცულობას, მათ სტრუქტურას გადასახადების ცალკეულ სახეობათა დეჟა სხვა ნიშნების მიხედვით, გადასახადების დინამიკას დროში, გადასახადების გავლენას მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ეკონომიკის განვითარების სტიმულირებაზე ან კიდევ პირიქით, ეკონომიკის განვითარების ასახვას გადასახადების გადიდებაში და ა.შ.

ამ ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, ფისკალური სტატისტიკა ფართოდ იყენებს ისეთ ინფორმაციულ წყაროებს, როგორცაა მუნიციპალური და ფედერალური ბიუჯეტების შესახებ არსებული მონაცემები ქვეყნის მასშტაბით, ფინანსთა სამინისტროს მონაცემები გადასახადების შესახებ მათი ცალკეული სახეობების მიხედვით, შემოსავლების სამინისტროს, აგრეთვე საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში არსებული ინფორმაცია ექსპორტ-იმპორტის საბაჟო მონაცემების შესახებ და სხვ.

2. ფისკალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდები

ისე, როგორც ყველა სახის მეცნიერებას, ფისკალურ სტატისტიკასაც გააჩნია შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდები. ფისკალური სტატისტიკა, როგორც მეცნიერება, შეისწავლის ფისკალურ მოვლენებსა და პროცესებს: სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი შემოსავლები, გასავლები, საგადასახადო სისტემები, გადასახადების სახეები და ა.შ. ესაა მისი შესწავლის ობიექტი, მაგრამ ამ ობიექტს სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებაც (ეკონომიკური თეორია, ისტორია, ფინანსები და კრედიტი და სხვა) შეისწავლიან. ამასთან, თითოეული

მათგანი ფისკალური მოვლენებისა და პროცესების, ამა თუ იმ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. ეს მხარე კი წარმოადგენს თითოეული მეცნიერული დისციპლინის შესწავლის საგანს. მაშ, რაში მდგომარეობს ფისკალური სტატისტიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანი? ფისკალური მოვლენებისა და პროცესების რომელ მხარეს შეისწავლის ის? აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ თითოეულ ფისკალურ მოვლენასა და პროცესს გააჩნია, როგორც რაოდენობრივი განსაზღვრულობა, ასევე თვისებრივი მხარე. ამასთან, რაოდენობრივობით ისინი ხასიათდებიან არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მაგალითად, ქვეყნის ფედერალური და მუნიციპალური ბიუჯეტები, საბაჟო შემოსავლები, შემოსავლები საგადასახადო სისტემის გზით და სხვ. ფისკალური მაჩვენებლები ამა თუ იმ წელს, მათი რაოდენობრივი მახასიათებლები, მოცულობანი, წარმოადგენს ამ მოვლენების რაოდენობრივ მხარეს. სწორედ ესაა ფისკალური სტატისტიკის შესწავლის საგანი. მაგრამ ფისკალური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივობას, მათი განვითარების კანონზომიერებებს ფისკალური სტატისტიკა ვერ დაადგენს მეთი თვისობრიობის გათვალისწინების გარეშე. შეუძლებელია, მაგალითად, განისაზღვროს დამატებითი ღირებულების მოცულობა, თუ წინასწარ არ დავადგინეთ რა კატეგორიის გადასახადია ის და რა შეიქმნება მის მოცულობაში, ე.ი. არ განისაზღვრება მისი ცნება და თვისებრიობა. ამის გარდა, ფისკალური მოვლენები და პროცესები, მათი რაოდენობრივი განსაზღვრულობა შეისწავლება არა აბსტრაქტურად, არამედ კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მაგალითად, გამოთქმა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მოცულობამ შეადგინა ან შეადგენს 700,0 მლნ ლარს, აბსურდულია, რომელიც არავითარ შინაარსს არ ატარებს. მაგრამ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მოცულობა გეგმით 1998 წელს რომ შეადგენდა 938,8 მლნ ლარს, სავსებით რეალური

მაჩვენებელია, იმდენად, რამდენადაც მითითებულია სივრცე (საქართველო) და დრო (1998 წ.).

ამასთან, ფისკალური სტატისტიკა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, მოვლენებისა და პროცესების განვითარების კანონზომიერებათა დასადგენად ცალკეულ, სპორტული ხასიათის ფაქტებს კი არ ეყრდნობა, არამედ მასობრივი ხასიათის მოვლენებსა და პროცესებს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება მათ განვითარებაში აღმოვაჩინოთ მასობრივი განმეორებადობა და შესაბამისი სამეცნიერო კვლევის კანონზომიერებანი.

ამის გარდა, განსხვავებით ზოგიერთი ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებისგან, რომელთა რაოდენობრივი მხარეების შესწავლას ემსახურება სტატისტიკა, ამ სფეროში მოვლენებისა და პროცესების მართვის მიზნით სახელმწიფო ატარებს ფისკალურ სტატისტიკას, რომლის ეფექტიანობის შესწავლის აუცილებლობა ფისკალური სტატისტიკის შესწავლის საგანი სპეციფიკურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად ფისკალური სტატისტიკა არის საზოგადოებრივი მეცნიერება, რომლის შესწავლის ობიექტია მასობრივი ფისკალური მოვლენები და პროცესები, ხოლო - საგანი მათი რაოდენობრივი მხარე და განვითარების კანონზომიერებანი, აგრეთვე ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

ფისკალური სტატისტიკა, ისე, როგორც სხვა მეცნიერებანიც, ფლობს შესაბამის ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც ის შეისწავლის მასობრივ ფისკალურ მოვლენებს ადა პროცესებს. ფისკალური სტატისტიკის ზოგადი მეთოდია დიალექტიკური მეთოდი, რად იმას ნიშნავს, რომ ფისკალური მოვლენები და პროცესები განიხილება არა უძრაობაში, არამედ მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში, აგრეთვე არა იზოლირებულად, არამედ სხვა მოვლენებთან მჭიდრო ურთიერთდიალექტიკურ კავშირში და ა.შ. ამ ზოგა-

დი მეთოდის საფუძველზე ფისკალური სტატისტიკა ამუშავებს და იყენებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სტატისტიკურ მეთოდოლოგიას.

ეს მეთოდები განსხვავებულია ფისკალური მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური გამოკვლევის სტადიების მიხედვით. პირველ სტადიაზე, რომელსაც როგორც სტატისტიკის ზოგადი თეორიიდან ცნობილია, ეწოდება სტატისტიკური დაკვირვება, ფისკალური სტატისტიკა იყენებს მასობრივი დაკვირვების მეთოდს, მეორე სტადიაზე ანუ თავმოყრია და დაჯგუფების სტადიაზე - სტატისტიკური დაჯგუფების, ხოლო მესამე სტადიაზე, სადაც ხდება თავმოყრილი და დაჯგუფებული მასალის მეცნიერული ანალიზი - საშუალოების, კორელაციურ, შერჩევითი დაკვირვების და სხვა მეთოდებს.

3. სტატისტიკური ერთობლიობანი და კანონზომიერებანი ფისკალურ მოვლენებსა და პროცესებში

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფისკალური სტატისტიკის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ფისკალური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრიობას განიხილავს და შეისწავლის არა ცალკეული ფაქტების, არამედ მასობრივი მოვლენებისა და პროცესების საფუძველზე.

სტატისტიკურად შესასწავლ მასობრივ მოვლენებსა და პროცესებს ორი ძირითადი ნიშანი უნდა ახასიათებდეს: ერთეულთა თვისებრივი ერთგვაროვნება და შესასწავლი ნიშნის ვარიაცია. მოვლენებისა და პროცესების ისეთ ერთობლიობას, რომელსაც ეს ორი ძირითადი ნიშანი გააჩნია, ეწოდება სტატისტიკური ერთობლიობა. რას ნიშნავს ერთეულთა თვისებრივი ერთგვაროვნება და შესასწავლი ნიშნის ვარიაცია? ისე, როგორც სხვა საზოგადოებრივი მოვლენები

და პროცესები, ფისკალური მოვლენებიც და პროცესებიც ერთმანეთისგან განსხვავდება თვისებრიობით. ერთ სტატისტიკურ ერთობლიობაში უნდა მოვათავსოთ თვისებრივად ერთგვაროვანი ელემენტები და მხოლოდ მაშინ შეიძლება მათზე დაკვირვებით სწორი მეცნიერული დასკვნების გაკეთება. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის (თბილისი, 1996) მიხედვით მიწის გადასახადის განაკვეთები, დიფერენცირებულია რაოდენობით სხვადასხვა ერთობლიობის მიხედვით. დაბეგვრის ობიექტის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები იყოფა სხვადასხვა სტატისტიკურ ერთობლიობად. პირველ ერთობლიობაში ერთიანდება სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები, მეორეში - წყლისა და ტყის ფონდის მიწები და ა.შ. მიწის გადასახადი დიფერენცირებულია, აგრეთვე, სხვადასხვა ბუნებრივი პირობებისა და მოსალევიანობის რაოდენობის მიხედვით. გადასახადი ყველაზე მაღალია თბილისისა და მარნეულის რაიონებში (იბეგრება წელიწადში 1 ჰა კარგი მიწა 57 ლარით, ცუდი მიწა - 31 ლარით). ხოლო ყველაზე დაბალი განაკვეთის სტატისტიკური ერთობლიობა მოიცავს შუაჩხვის, ხარაგაულის, ჭიათურის, ლენტეხის, ონის, ჩოხატაურის, მესტიის, ყაზბეგისა და ჯავის რაიონებს. ამ ჯგუფში კარგი მიწების 1 ჰა წელიწადში იბეგრება 13 ლარით, ხოლო ცუდი მიწები - 8 ლარით.

ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისთვის საგადასახადო განაკვეთების მიხედვით საქართველოს მთელი რაიონები სამ სტატისტიკურ ერთობლიობადაა დაყოფილი. პირველში ერთიანდება აბაშის, ახალქალაქის, ახალციხის რაიონები, მეორეში - ადიგენის, ახალგორის, ქედის, ჩოხატაურის და სხვ. ხოლო მესამეში - ამბროლაურის, ახმეტის, ლენტეხის და სხვა რაიონები. პირველ ჯგუფში დაწესებულია სათიბების 1 ჰექტარზე წელიწადში გადასახადი 6 ლარის, ხოლო საძოვრებისთვის, 3 ლარის, მეორეში შესაბამისად 4 და 2,

მესამეში 2,5 და 1,5 ლარის ოდენობით.

სტატისტიკური ერთობლიობანი იცვლება შესასწავლი ნიშნის მიხედვით. ზემოთ მოტანილი ერთობლიობანი წარმოდგენილი იყო 1 ჰექტარი მიწის დაბეგვრის ოდენობის მიხედვით. ხოლო თუ სხვა ნიშანს ავიღებთ საქართველოს რეგიონების შესწავლის საფუძვლად (მაგალითად, მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით), მაშინ რაიონები სულ სხვადასხვა ერთობლიობებში მოხვდებიან და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე ნიშანი, რომლითაც ხასიათდება სტატისტიკური ერთობლიობა, არის შესასწავლი ნიშნის ვარიაცია. ნიშნის ვარიაცია ეწოდება მის ცვალებადობას დროსა და სივრცეში. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ცვალებადობა წლების მიხედვით ესაა ვარიაცია დროში, ხოლო რეგიონების მიხედვით - ვარიაცია სივრცეში. იქ, სადაც შესასწავლ ნიშანს ვარიაცია არ გააჩნია, სტატისტიკა არ გამოიყენება.

შესასწავლი ნიშნის ვარიაცია გამოწვეულია მრავალი, მასზედ მოქმედი ფაქტორების ზემოქმედებით. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდებაზე მოქმედებს წარმოების განვითარების ტემპები, ექსპორტ-იმპორტის ცვალებადობანი, საგადასახადო ტვირთის ანც გადასახადების განაკვეთების ცვალებადობანი და სხვა. ამ ფაქტორების ერთი ნაწილი მუდმივმოქმედნი არიან და გამომდინარეობენ მოვლენის შინაგანი მოქმედებიდან, ხოლო მეორე / შემთხვევითია, დროებითმოქმედნი. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობა იცვლება სეტყვისა და გვალვების ზემოქმედებით, რამაც შეიძლება ძლიერ იმოქმედოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვალებადობაზე და ა.შ.

შინაგანი, მუდმივმოქმედი ფაქტორების გავლენით განისაზღვრება მოვლენის რაოდენობრივი განვითარების გარკვეული წესი, სიდიდე, განმეორებადობა, თანმიმდევრობა, რასაც ეწოდება სტატისტიკური კანონზომიერება.

მაგრამ ეს კანონზომიერება გამოვლინდება არა ყოველთვის, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ, საშუალოდ დაკვირვების დიდი რიცხვის პირობებში. აქ თავს იჩენს მათემატიკური დიდ რიცხვთა კანონის ზემოქმედების ძალა. დიდ რიცხვთა კანონის არსი ისაა, რომ ცალკეული შემთხვევითი გადახრები, რომლებიც დამახასიათებელია სტატისტიკური ერთობლიობის ინდივიდებისთვის, დაკვირვების დიდ რიცხვში ერთმანეთს აბათილებენ და გამოვლინდება, საშუალოდ, ყველა ერთეულისთვის დამახასიათებელი სტატისტიკური კანონზომიერება. აქედან ცხადია სტატისტიკისთვის მასობრივი დაკვირვების მეცნიერული მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ მეცნიერული განზოგადება და შესაბამის სტატისტიკურ კანონზომიერებათა გამოკვლევა ფისკალურ მოვლენებსა და პროცესებში, შეიძლება მხოლოდ დაკვირვების საკმარისი, დიდი რიცხვის პირობებში. აქ ვლინდება, აგრეთვე, აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირი. მაგალითად, ცალკეული გადამხდელები, იურიდიული ან ფიზიკური პირები ცული ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერც იხდიან ვერავითარ გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტში, ამიტომ მათ საფუძველზე შეუძლებელია საგადასახადო განაკვეთების დადგენა და თანხმების აკუმულაცია. ამიტომ ფისკალური სტატისტიკა საგადასახადო ტვირთის სიმძიმის განსაზღვრისთვის მთელს ქვეყანაში მიმართავს არა ცალკეული ინდივიდების გამოკვლევას, არამედ ინდივიდებისთვის შედგენილი დიდი მასის გამოკვლევის შედეგებს, რაც დიდი რიცხვის პირობებში გამოავლენს მეცნიერულ კანონზომიერებებს ან ტენდენციებს. ალბათობის თეორიაში მტკიცდება, რომ შემთხვევით მონაცემთა საშუალო სიდიდე (საშუალო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მოსახლეობის ერთ სულზე გაანაგრიებით, საშუალო გადასახადები ერთ გადამხდელზე და ა.შ.) დიდ მასაში ერთმანეთთან ახლომდგომი ალბათობით ძალიან მცირედით განსხვავდება ამ საშუალო სიდიდის მათემატიკურ

რი ლოდინისგან. ამტომ, რაც უფრო დიდია დაკვირვების რიცხვი სტატისტიკური გამოკვლევის დროს, მით მეტი სიზუსტით ასახავს საშუალო სიდიდე ფისკალური მოვლენებისა და პროცესების განვითარების კანონზომიერებებს.

გარდა სტატისტიკური კანონზომიერებისა, არსებობს აგრეთვე ფისკალური მოვლენებისა და პროცესების დინამიკური კანონზომიერებანი. მათი არსი ისაა, რომ ერთი მოვლენის ზემოქმედება იწვევს მეორე მოვლენის ცვალებადობას არა მხოლოდ დაკვირვების დიდი რიცხვის პირობებში, არამედ ყოველთვის და ყველა ცალკეული ერთეულისთვის. ასეთად ფისკალურ მოვლენებსა და პროცესებში შეიძლება ჩავთვალოთ გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და დამატებული ღირებულების გადასახადს შორის ურთიერთობანი, რაც მეტია გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მით მეტია დამატებული ღირებულების გადასახადი და ა.შ. ფისკალური მოვლენებისა და პროცესების განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა ფისკალური სტატისტიკის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

4. ფისკალური სტატისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ფისკალური სტატისტიკა როგორც სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, საზოგადოებრივი მეუცნიერული დისციპლინაა. აქედან გამომდინარე, ის, როგორც ფისკალური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარისთვის მხარესთან მჭიდრო კავშირში შემსწავლელი მეცნიერება, ეყრდნობა ისეთ მეცნიერებებს, რომლებიც საზოგადოების განვითარების კანონებს შეისწავლიან. ასეთ მეცნიერებებს მიეკუთვნება ეკონომიკური თეორია, ფილოსოფია და სხვ. ეკონომიკური თეორია და ფილოსოფია საზოგადოების განვითარების ისეთ კანონებს იკვლევენ, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკაში, კულ-

ტურასა და პოლიტიკაში მოვლენებისა და პროცესების განვითარების არსს, მათ თვისებრიობას.

სტატისტიკას და აქედან ფისკალურ სტატისტიკასაც სწორედ ამ კანონებზე დაყრდნობით შეუძლია ფისკალური მოვლენებისა და პროცესების განვითარებას მისცეს სწორი რაოდენობრივი და ციფრობრივი დახასიათება. ამიტომ ვამბობთ, რომ ფისკალური სტატისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებია ეკონომიკური თეორია და ფილოსოფია. მართლაც, შეუძლებელია დავახასიათოთ სახელმწიფო ბიუჯეტის ხაოჯების მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა და მათზე მოქმედი ფაქტორები რაოდენობრივი თვალსაზრისით, თუ ეკონომიკური თეორიიდან არ ვიცით თითოეული მათგანის (თავდაცვის, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კულტურის, სპორტისა და რელიგიის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და სხვა ხარჯების) არსი, რაობა, თვისებრივი მხარეები.

არ შეიძლება აგრეთვე წარმოვიდგინოთ ფისკალური მოვლენების განვითარება ფილოსოფიასა და კერძოდ დიალექტიკის კანონების გარეშე. ეს კანონზომიერებები გვასწავლის, რომ ისე, როგორც საერთოდ ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები, ფისკალური მოვლენები და პროცესებიც არ არიან უცვლელი დროსა და სივრცეში, არამედ მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში იმყოფებიან, აგრეთვე არიან არა იზოლირებული, არამედ მჭიდრო ურთიერთკავშირში სხვა მოვლენებთან და პროცესებთან, რის საფუძველზეც რაოდენობრივი ცვლილებანი განსაზღვრულ დონეზე იწვევს თვისებრივ ცვალებადობას დროსა და სივრცეში. ამიტომ ეკონომიკური თეორია, ფილოსოფია და სხვა მეცნიერებანიც თავის მხრივ იყენებენ სტატისტიკას, მის მიერ აღმოჩენილ რაოდენობრივ ცვალებადობასა და კანონ-

ზომიერებებს შესაბამისი თვისებრივი ცვალებადობისა და ურთიერთობის დასადგენად.

ამიტომ, როდესაც ლაპარაკია ფისკალური სტატისტიკის მეცნიერებებთან ურთიერთკავშირზე, უნდა დავასახელოთ როგორც საზოგადოებრივი, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან ფისკალურ სტატისტიკას მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვს ზემოთ დასახელებულ ეკონომიკურ მეცნიერებებთან, როგორცაა საფინანსო-საბანკო, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი და სხვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათაგან, ფისკალურ სტატისტიკას ყველაზე მჭიდრო კავშირურთიერთობანი აქვს უმაღლეს მათემატიკასთან, ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკასთან და სხვ.

თემა 2. ფისკალური სტატისტიკა როგორც სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მძლავრი იარაღი

1. სახელმწიფოს ისტორიული წარმოშობა და განვითარება

სახელმწიფოების წარმოშობისა და განვითარების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები მრავლადაა გადმოცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ისტორიულ ლიტერატურაში. აქ ჩვენ გვინტერესებს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების წარმოშობა-განვითარება და მასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში ფისკალური პოლიტიკის ტრანსფორმაციული პროცესი სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების განვითარებასთან ერთად, თავიდან, როგორც წინა მასალიდანაა ცნობილი, სახელმწიფოები წარმოიშვა გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველ მანქანად.

სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია მარქსისტულ-ლენინური თეორიაა. ამ თეორიის თანახმად „...სახელმწიფო განსაკუთრებული წესით მოწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვას. ეკონომიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც აუცილებლად დაკავშირებული იყო საზოგადოების კლასებად გათიშვასთან, სახელმწიფო ამ გათიშვის გამო აუცილებლად იქცა“¹.

ვ.ი. ლენინის აზრით, „სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოხატულება. სახელმწიფო ჩნდება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება ობიექტურად შეუძლებელია“².

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ. 1978 წ. გვ. 178

² ვ.ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25, მე-4 გამოცემა, გვ. 472

სახელმწიფოს განვითარების პირველ ეტაპზე წინა პლანზე იყო წამოწეული მათი ჟანდარმული ეკონომიკური ფუნქცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკისა და სასამართლოს მეშვეობით იცავდა წესრიგს. ხოლო არმიის მეშვეობით ანხორციელებდა თავდაცვის ფუნქციებს. ცხადია, ამ ფუნქციის განხორციელებას ესაჭიროებოდა შესაბამისი ფულადი და მატერიალური სახსრები, რომელთა აკუმულაცია სახელმწიფოს ხელში წარმოებდა საბიუჯეტო-საგადასახადო ანუ ფისკალური პოლიტიკით. ამ ფუნქციას სახელმწიფოები ასრულებდნენ მე-18 საუკუნის ბოლომდე. შემდგომში მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასრულებამდე ინდუსტრიული განვითარების პროცესმა სახელმწიფოსგან მოითხოვა უცხოეთის კონკურენციისგან სამამულო წარმოების დაცვის აუცილებლობა. ამ ეტაპზე უკვე სახელმწიფოს ჟანდარმულ ფუნქციებს დაემატა პროტექტორული ეკონომიკური ფუნქციას, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ფისკალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. შემდგომ პერიოდში სახელმწიფოთა შორის ომებისა და ტვეყანათა შიდა ეკონომიკური კრიზისების განვითარებამ კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფოების ჩარევა ეკონომიკურ საქმიანობაში. ეკონომიკური სახელმწიფოებრივი რეგულირების პროცესმა მოხმარების საგნების წარმოების შეზღუდვა-გაფართოების, დეფიციტური რესურსების განაწილების სისტემის შემოღების და სხვა სახელმწიფოებრივი კონტროლის მეთოდების გაძლიერებით ყოვლის მომცველი ხასიათი მიიღო.

აქ უკვე სახელმწიფოების ეკონომიკურმა პოლიტიკამ სახელმწიფო-მფარველის ფუნქცია შეიძინა, რასაც, თავისთავად ცხადია, მოჰყვებოდა საბიუჯეტო-საგადასახადო ანუ ფისკალური პოლიტიკის კიდევ უფრო გაძლიერება სახელმწიფოებში.

ამრიგად, სახელმწიფოების ეკონომიკური როლის გაძლიერება-ევოლუციასთან ერთად ძლიერდებოდა ტრანსფორმაციას განიცდიდა სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკაც.

სსიპ აკადემიის შრომა რუსთაველის

2. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები და ფისკალური პოლიტიკა

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ფისკალური პოლიტიკა იცვლებოდა სახელმწიფოს ისტორიული წარმოშობისა და განვითარების შესაბამისად. მაგალითად, სახელმწიფოს, როგორც ჟარდარმის, ეკონომიკური ფუნქციები შედარებით შეზღუდული იყო. ამ ეტაპზე, მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, კლასიკოსები და ნეოკლასიკოსები მერკანტილისტური¹ თეორიის წინააღმდეგ თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლოს წესრიგის დამყარებით პოლიციისა და სასამართლო ორგანოების დახმარებით მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე და არმიის მეშვეობით გარედან თავდაცვით. ესაა ე.წ. ლიბერალური თეორია, ა, სმითის, ე.წ. „უხილავი ხელის“ თეორია, რომელიც ეყრდნობა თავისუფალი ეკონომიკის შექმნას, ამ საფუძველზე ადამიანი თავისი კერძო, ანგარებითი მიზნების მისაღწევად ეწევა ნებისმიერ ბიზნესმენურ და კომერციულ საქმიანობას, რითაც ის, უნდა თუ არ უნდა, ჩართულია ქვეყნის საერთო ინტერესებისთვის ბრძოლაში.

შემდგომში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, შედარებით გაფართოვდა სახელმწიფოს, როგორც პროტექტორატისა და როგორც მფარველის როლების განვითარებასთან ერთად. 1929-1935 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ანალიზის საფუძველზე გ. კეინმა უარყო ადამ სმითის ეკონომიკის თვითრეგულირების თეორია და მოითხოვა სახელმწიფოს როლის გაძლიერება და უფრო მეტად ჩარევა

¹სიტყვა „მერკანტილიზმი“ წარმოშობილია იტალიური სიტყვა merkante-სგან, რაც ვაჭარს ნიშნავს. მერკანტილიზმი წარმოიშვა მე-16, მე-17 საუკუნეებში ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, მოკვიანებით რუსეთში. ამ თეორიით (წარმომადგენელი ინგლისელი ტომას მანი) სიმდიდრე ვაჭრობაშია და ამიტომ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი საგარეო ვაჭრობის განვითარებას. მათი აზრით, უნდა იყიდო მეტი და გაყიდო ნაკლები, რითაც მოხდება ძვირფასი ლივონების დაგროვება ქვეყანაში.

ეკონომიკურ საქმიანობაში. სახელმწიფოს, როგორც მფარველის როლი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, სადაც წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და გადანაწილების ყველა გადაწყვეტილებებს სახელმწიფო იღებს ცენტრალიზებული წესით. სწორედ ამის გამო ამ სისტემამ მიიღო „მართვის ბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის“ სახელწოდება.

სახელმწიფოს როლის ცვალებადობასთან ერთად იცვლებოდა მისი ეკონომიკური ფუნქციებიც. ამჟამად, ავტორთა ერთი ნაწილი გამოყოფს სამ ძირითად მათგანს: აფექტაციის, გადანაწილებისა და რეგულირების ფუნქციები.

აფექტაციის ფუნქცია მდგომარეობს მასში, რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ე.წ. „საზოგადოებრივი საქონლის“ ანც არასასაქონლო დოვლათის (თავდაცვის, პოლიციის, გზების, ხიდებისა და სხვათა უწრუნველყოფა შესაბამისი ნაწარმით) და მომსახურების დაფინანსების უზრუნველყოფას მთელი საზოგადოებისთვის მაღალი დადებითი ეფექტის მიღების მიზნით, იმისდამიუხედავად, საზოგადოებრივ სექტორში იწარმოება თუ კერძო სექტორში (საოჯახო მეურნაობები ანც ჰაუსჰოლდები, ფირმები, სამთავრობო დაწესებულებები და სხვა) შესაბამისი მატერიალური თუ სულიერი დოვლათი და მომსახურება.

გადანაწილების ფუნქცია გადანაწილებისა და ტრანსპორტების დახმარებით უზრუნველყოფს საზოგადოების მდიდართა და ღარიბთა შორის არსებული ეკონომიკური განსხვავებისა და უთანასწორობის შედარებით შემცირებას.

რეგულირების ფუნქცია მასში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარებით (ინფლაციის, საბიუჯეტო დეფიციტის, საგადასახადო სისტემის რეგულირება და სხვა) ცდილობს, მოაწესრიგოს ეკონომიკური საქმიანობა.

¹ის. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო, საგამომცემლო ფირმა „საიხლე“, თბილისი, 1998 წ. გვ. 173

ავტორთა გარკვეული ნაწილი მთავრობის ეკონომიკური ფუნქციებიდან გამოჰყოფს:

სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფას;

კონკურენციის დაცვას;

შემოსავლისა და სიმდიდრის განაწილებას;

რესურსის განაწილებას;

ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ზრდის სტიმულირებას.

სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულებას სახელმწიფო ახორციელებს კანონების შექმნისა და მის საფუძველზე „თამაშის წესების“ დადგენით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო საწარმოებისადმი სტატუსის მინიჭების, მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების დადებისა და დაცვის კანონსაწინააღმდეგო ქმედებისადმი სასჯელების დადების, ფალსიფიცირებული პროდუქციის აკრძალვის, ხარისხის სტანდარტების დადგენის, ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის გატარებისა და ძალოვანი სტრუქტურების მოშველიებით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. ყველაფერი ეს ქმნის ხელსაყრელ გარემოს ეფექტიანი საბიუჯეტო-საგადასახადო ანუ ფისკალური პოლიტიკის გატარებისთვის საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

კონკურენციის დაცვის ფუნქციის შესრულების სფეროში მთავრობა პირველ ყოვლისა ხელს უწყობს შესაბამის მწარმოებელ ან მომხმარებელ აგენტებს შორის კონკურენციის გაძლიერებას, ვინაიდან ეს განაპირობებს მიწოდების მოცულობის გადიდებას, რაც ფასების შემცირების საფუძველია. მაგრამ შესაბამისი ტენდენციები შემდგომში წარმოშობს ე.წ. მონოპოლიებს, ანუ ისეთ გაერთიანებებს, რომლებიც ურთიერთშეთანხმებათა გზით არეგულირებენ მიწოდების მოცულობას, რითაც ინარჩუნებენ მაღალ ფასებს და აღწევენ მონოპოლიური მოგების მიღებას. ამ შემთხვევაში იგებს მწარმოებელთა მონოპოლიური გაერთიანებანი, ხოლო

ნადგურდება წვრილი და საშუალო მწარმოებელთა ნაწილი, შემდეგ აგებს მომხმარებელი. ამ ტენდენციის შესარბილებლად მთავრობა ანტიმონოპოლიური კანონის საფუძველზე ებრძვის მონოპოლიას და ინარჩუნებს ნორმალურ კონკურენციას. ამ შემთხვევაში, მაგალითად, „ბენებრივი რესურსების მონოპოლიების“ (რომლებსაც არა ჰყავთ ქვეყანაში კონკურენტი ბაზრები). აგრეთვე ზოგჯერ ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, ელექტროენერჯის წარმოებასა და მომარაგების სფეროში სახელმწიფო ქმნის შესაბამის კომისიებს და არეგულირებს ფასებს. აქ კი ერთ-ერთი მძლავრი იარაღია საგადასახადო სისტემა ანც ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც საგადასახადო განაკვეთების ცვლილებათა შესაბამისად ზღუდავს ან წაახლისებს ამა თუ იმ სფეროს მუშაობას.

შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილება აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იმდენად, რამდენადაც ერთი რიგი ადამიანებისა ბუნებრივი ნიჩის, საფუძვლიანი განათლებისა და უნარის, ან კიდევ მემკვიდრეობით მიღებული დიდძალი კაპიტალისა და სხვა ფაქტორების გამო, გაცილებით მეტ შემოსავალს (10-ჯერ, 20-ჯერ და ზოგჯერ 40-ჯერ მეტს) ღებულობენ, ვიდრე საზოგადოების სხვა ფენები (ნაკლები ნიჭის, მცირე განათლების, დაბალი უნარიანობის, ხანდაზმული, ფიზიკურად და გონებრივად ნაკლოვანებების მქონე პირები, გაუთხოვარი და ქვრივი ქალები). მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკა ბუნებრივად წარმოშობს შემოსავლებისა და სიმდიდრის მკვეთრ უთანაბრობასა და ღიფერენციაციას საზოგადოებაში, რის გამო სახელმწიფო თავის თავზე იღებს ამ შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებასა და ამ მხრივ უთანაბრობის შემცირებას საზოგადოებაში. ამ საქმეში მთავრობა იყენებს ოპტიმალური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარებას ქვეყანაში. აქედან გამოიყოფა ტრანსფერტული გადასახადები (რომლებიც ეძლევათ მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებს), ფა-

სების რეგულირება საბაზრო პირობებში და გადასახადების განაკვეთების შემცირება ღარიბთა, ხოლო - გადიდება მდიდართა კლასებისთვის და ა.შ.

რესურსების გადანაწილების ფუნქცია დაკავშირებულია ე.წ. „გადადენის“ ხარჯებთან. გადადენის ხარჯებთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა საქონლის წარმოება ან მოხმარება რომელიმე მესამე მხარისთვის წარმოშობს არაკომპენსირებად ხარჯებს. ასეთ შემთხვევებს, მაგალითად, ადგილი აქვს წარმოების ნარჩენების წყალში ჩაშვებით გარემოს დაბინძურებასთან. აქ მოსახლეობა თავისი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ეწევა დანახარჯებს, რომლებიც არაფრით არ კომპენსირდება. ასეთ დანახარჯებს წარმოებაზე გადაკისრებას სახელმწიფო ორი გზით ახერხებს:

შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით და განსაკუთრებული გადასახადებით. კანონმდებლობის მიღებით იკრძალება ჰაერისა და გარემოს დაბინძურება-გაჭუჭყიანება, რისთვისაც მწარმოებლები გამოყოფენ დამატებით ხარჯებს მაგნე ნარჩენების გასანადგურებლად. ამის გარდა, მთავრობას შეუძლია შემოიცილოს განსაკუთრებული გადასახადები, რაც ტოლი უნდა იყოს გადადენის ხარჯებისა პროდუქციის ერთეულზე. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მთავრობა შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარებით არეგულირებს რესურსების გადანაწილებას და ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას ქვეყანაში.

ახლა ვნახოთ, როგორ სრულდება მთავრობის როლი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ზრდის სტიმულირების ფუნქციის შესრულების საქმეში.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციას ძირითადად განსაზღვრავს მისი უკუსვლის, ვარდნის შეჩერება, უმუშევრობის შემცირება და ინფლაციის, ფულის გაუფასურების აღკვეთა. ამ მხრივ, მთავრობას შეუძლია გამოეყოს მეტი საკუთარი სახსრები (მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯების სახით) და შეამციროს კერძო სექტორის საგადასახადო განაკ-

ვეთები წარმოების გაფართოების სტიმულირების მიზნით. ეს ღონისძიება გაადიდებს წარმოების მასშტაბებს, შეამცირებს უმუშევრობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტაბილიზაციასა და გაჯანსაღებას.

მაგრამ, როგორც სახელმწიფოს, სიე კერძო სექტორის მიერ გაწეული დანახარჯების გადიდება უფრო მეტად, ვიდრე საწარმოო სიმძლავრეები გვაქვს და პროდუქციის გამოშვების მოცულობამ შეიძლება შეადგინოს უცილობლად მიგვიყვანს ინფლაციის ანუ ფულის გაუფასურებასა და ეკონომიკის დესტაბილიზაციამდე. ამ შემთხვევაში მთავრობა ამციურებს თავის დანახარჯებს, ადიდება კერძო სექტორის საგადასახადო განაკვეთებს, რითაც აღარ სტიმულირდება დანახარჯების გადიდება, შედეგად აღიკვეთება ინფლაცია და შენარჩუნდება ეკონომიკის სტაბილიზაცია.

აქაც, როგორც ჩანს, მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ზრდის სტიმულირებისთვის იყენებს, როგორც მონეტარულ, ისე ფისკალურ პოლიტიკას.

ამრიგად, სახელმწიფოს მიერ თავისი ეკონომიკური ფუნქციების შესრულება უცილობლად მოითხოვს შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარებას, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ფისკალური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობის, მათი განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა. აქაც ფისკალურ სტატიკისტიკას შეუძლია შეასრულოს შეუცვლელი როლი.

3. ფისკალური პოლიტიკის გატარების პრობლემები თანამედროვე საქართველოში

ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ძველი წყობილების დაშლისა და ახალი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის აუცილებლობამ მოითხოვა სწორი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება. სამწუხაროდ, თავიდანვე არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ საქარცველოში მთლიანად მოშალა ქვეყნის ეკონომიკა და შექმნა ეკონომიკური კატასტროფის საშიშროება. ამ პირობებში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარების დარგში წარმოიწვა მრავალი პრობლემა, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

1. საბიუჯეტო შემოსავლების სწორად გაანგარიშების პრობლემა. საჭირო შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისად სწორად გაგვეანგარიშებინა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, მათ შორის საგადასახადო (საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების, საბაჟო, ქონების, მიწის სოციალური და სხვა გადასახადების), ისე არასაგადასახადო (შემოსავლები სახელმწიფო ქონების გაყიდვის ან იჯარით გაცემიდან, ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან, ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემიდან და სხვა). ხელისუფლების ეკონომიკურ სამსახურში მოხვედრილმა არაკომპეტენტურმა კადრებმა ვერ უზრუნველყვეს საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სწორი პროგნოზირება, რამაც წლების განმავლობაში გამოიწვია მისი შეუსრულებლობა. სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო წლების მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა რამდენჯერმე იცვლებოდა, რაც საბიუჯეტო კრიზისის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მაგალითად, 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო ვარიანტი იმავე წლის 28 ნოემბერს დამტკიცდა. ამავე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი საკუთარი შემოსავლების

ნაწილში (შემოსავლები ტრანსპერტებისა და გრანტების გარეშე) დაგეგმილი იყო 725,1 მლნ ლარის ოდენობით და ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 591,4 მლნ ლარი.¹

შედარებისთვის მოვიტანოთ საქართველოს საგარეო ვალების მოცულობა, რომელმაც 1999 წლის 1 აპრილისთვის შეადგინა 1811,40 მლნ დოლარი. თუ მივიჩნევთ მინიმალურ 2%-იან საბანკო განაკვეთს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კრედიტების, დაფარვის წლიური მინიმალური თანხა შეადგენს 434736000 ამერიკულ დოლარს ანუ 812956320 ლარს, რაც შთანთქავს რესპუბლიკის მთლიან ბიუჯეტს. ამას ქვია სრული ეკონომიკური კოლაფსი.

ამ მიმართულებით ფისკალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ძრითადი ამოცანაა საბაზრო ეკონომიკის მოქმედების ობიექტურ ეკონომიკურ კანონებზე დაყრდნობით საბიუჯეტო შემოსავლების სწორი, მეცნიერული პროგნოზირება და ცხოვრებაში რეალიზაცია.

2. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ოპტიმალური განაწილების პრობლემა. ეს პრობლემა წარმოშვა ხარჯების განაწილებაში სრულმა ქაოსმა და განუკითხობამ, რამაც გამოიწვია ისედაც მწირი ბიუჯეტის პირობებში მილიონიანი უნაყოფო ხარჯები და ხალხისა და სახელმწიფოს ქონების მითვისების დანაშაულებრივი სისტემა. ამის შედეგად 1997 წლიდან დღემდე მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო მომსახურების საერთო დანიშნულების უნაყოფო ხარჯები (12,3%-დან 19,5%-მდე) და შემცირდა სოციალური დაზღვევის (24,5%-დან 19,5%-მდე), განათლების (6,1%-დან 3,8%-მდე), ჯანდაცვის (3,3%-დან 2,9%-მდე) და სხვა ხარჯები.²

3. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებამ საქართველოში წარმოშვა ინფლაციის პრობლემები. ამის თა-

¹ მოხსენება 1998 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, თბ. 1999 წ. გვ. 4

² რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, თბ. 1999 წ. გვ. 16

ობაზე ჯერ კიდევ 1994 წელს ვიუწყებოდიტ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე (იხ. 28 ივნისი, 1994 წ.) წერილში „კუპონი უდანაშაულოა!“ აი, რას ვწერლით წერილში: „ძნელია ეკონომიკური სიღუხჭირით გაწამებული მშრომელი მოსახლეობა კუპონის სიმართლეში დაარწმუნო. არადა, ფულის ერთეულის ინფლაცია სოციალურ-ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაავადებული ქვეყნის სიცხიანობის კარგი საზომია. „...მარტივი პროფესიონალური გათვლაც კი იმაზე მეტყველებ, რომ კუპონის ადგილზე მანეთი და დოლარიც კი ვერ გაუძლებდა ფულად-საკრედიტო, საფინანსო-საბიუჯეტო, აგრეთვე საპრივატიზაციო პოლიტიკის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მოშლისა და წარმოების განვითარების ტემპების არნახული დაქვეითების დამანგრეველ გავლენას“. „...ამჟამად სიძულვილი კუპონისადმი არა მარტო მისი ინფლაციის მაღალი ტემპებით, არამედ ეფრო მეტად იმითაა გამოწვეული, რომ მას ზოგჯერ მძარცველური ეკონომიკური პოლიტიკის მძლავრ იარაღად იყენებენ“. ამრიგად, ინფლაციური პროცესები საქართველოში 1994 წლიდან დღემდე და ამჟამად გამოყენებულია ხელისუფლების მიერ მოსახლეობის ძარცვისა და საკუთარი ჯიბეების გასქელების მზაკვრული მიზნები, რაც ქმნის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარების შესაბამის პრობლემებს.

4. პრობლემები საგადასახადო პოლიტიკის გატარების დარგში. საგადასახადო პოლიტიკის გატარების სფეროში გარდამავალ პერიოდში წარმოიშობა მრავალი პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადების სახეობების, დაბეგვრის ობიექტისა და პრინციპების, აგრეთვე დაბეგვრის განაკვეთების განსაზღვრასთან. ამის მიხედვით, ყალიბდება ლიბერალური ან მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა. ამჟამად, მაგალითად, საქართველოში შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებს მკაცრი საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც აფერხებს წარმოების განვითარებას. მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი საქართველოში განისაზღვრება და-

საბეგრი ბრუნვის 20%-ის ოდენობით, რაც მაქსიმალურია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და ნაკლებია ისეთ შედარებით განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებზე, როგორცაა ლატვია, ლიტვა და ესტონეთი. საჭიროა საგადასახადო პოლიტიკა (პრინციპები, განაკვეთები და სხვა) განისაზღვროს არა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურად, რაც ხშირად ხდება საქართველოში, არამედ მოცემული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონის შესაბამისად. ყოველ შემთხვევაში, ისეთი საგადასახადო პოლიტიკა უნდა მოქმედებდეს ქვეყანაში, რომელიც წარმოების სტიმულს შეუქმნის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების საქმეში.

თემა 3. საბიუჯეტო-ფისკალური სტატისტიკა

1. ბიუჯეტის ცნება და საბიუჯეტო-ფისკალური სტატისტიკის ამოცანები

სიტყვა ბიუჯეტი სხვადასხვა გაგებით იხმარება ეკონომიკაში. მაგალითად, ზოგჯერ იხმარება დროის ბიუჯეტი, ოჯახის ბიუჯეტი და ა.შ. დროის ბიუჯეტი აღნიშნავს დროის რესურსისა და მისი გამოყენების თანაფარდობებს, ოჯახის ბიუჯეტი კი - ოჯახის შემოსავლებისა და დანახარჯების ურთიერთობებს და ა.შ. მაგრამ ფისკალური სტატისტიკის შესწავლის მთავარი ობიექტია ქვეყნის მასშტაბით ფულადი რესურსების წარმოქმნისა და მათი მიზნობრივი გამოყენების პროცესი, რაც სხვაგვარად ბიუჯეტია. სიტყვა ბიუჯეტი ინგლისური წარმოშობისაა (Budget) და ნიშნავს ჩანთას. ცნობილია, რომ მე-17 საუკუნის ინგლისში ლორდთა პალატის წინაშე მოხსენებით გამომსვლელ ხაზინის კანცლერს წინ ფულით სავსე ტომარა ედო, რომელსაც ტრიბუნის ნაცვლად დასაყრდნობად იყენებდა. ასე წარმოთქვამდა კანცლერი სიტყვას ქვეყნის ფინანსების წყაროებისა და ხარჯების შესახებ, რომელსაც „ბიუჯეტს“ უწოდებენ. მას შემდეგ დღემდე ბიუჯეტი ყველა ქვეყნის ფულადი რესურსების წარმოქმნისა და განაწილების გეგმის სახითაა ცნობილი და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის შემუშავების საქმეში.

ამრიგად, ფულად სახსრების შემოსულობათა და მათი გამოყენების სისტემა (გეგმა) ცალკეული ოჯახების მიხედვით წარმოადგენს საოჯახო ბიუჯეტს, ფირმის (საწარმოს) მიხედვით ფირმებისა და საწარმოების ბიუჯეტებს, ქალაქებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით „ადგილობრივ (მუნიციპალურ) ბიუჯეტებს, ხოლო მთელი ქვეყნისა და სახელმწიფოების მიხედვით „სახელმწიფო ანუ ფედერალურ ბიუჯეტს.

ფისკალური პოლიტიკა და ფისკალური სტატისტიკა ძირითადად ფედერალური ბიუჯეტის სფეროში სახელმწიფოს

მიერ ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების რეგულირების პოლიტიკასა და შესაბამის სტატისტიკას ეხება. ამასთან, საბიუჯეტო-ფისკალური პოლიტიკა სხვა ეკონომიკურ მეცნიერებათა, კერძოდ, ეკონომიკური თეორიისა და სასაფინანსო-საბანკო მეცნიერებათა შესწავლის საგანია, ხოლო საბიუჯეტო-ფისკალური პოლიტიკის, შესაბამისი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარეები, მათი განვითარების კანონზომიერებანი თვისებრივ მხარესთან მჭიდრო ურთიერთკავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში / ფისკალური სტატისტიკის შესწავლის საგანია. ესაა სტატისტიკის შესწავლის საგნის ზოგადი გავრცელება ფისკალურ მოვლენებსა და პროცესებზე. მაგრამ ამის გარდა საბიუჯეტო-ფისკალურ სტატისტიკას და არა სხვა რომელიმე ეკონომიკურ მეცნიერებას ევალება რაოდენობრივად შეაფასოს საბიუჯეტო-ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა. ამიტომ სტატისტიკის შესწავლის ზოგად საგანს ემატება ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესწავლის აუცილებლობა.

რა კონკრეტულ სტრატეგიასა და ტაქტიკას, პორლიტიკას ირჩევს სახელმწიფო ფედერალური ბიუჯეტის მართვის საქმეში დროის ამა თუ იმ მომენტში?

სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშობა სხვადასხვა სახის ფისკალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა, რაც განსხვავებული შეიძლება იყოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიხედვით.

საერთოდ, ფისკალური პოლიტიკით ხორციელდება ეკონომიკის სტაბილიზაცია, რაც ეროვნული წარმოების მოცულობის ზრდის, დასაქმების რეგულირების, ინფლაციის კონტროლისა და სხვა მაჩვენებლებით გამოიხატება. ბიუჯეტის მართვისა და რეგულირების დარგში ფისკალური პოლიტიკის განხორციელება საჭიროა არა მარტო დეფიციტური¹,

¹დეფიციტური ეწოდება ბიუჯეტს, რომლის შემოსავლები ნაკლებია გასავლენებზე, ხოლო პროფიციტური - პირიქით, ანუ ისეთი ბიუჯეტია, რომლის შემოსავლები მეტია დანახარჯებზე

არამედ პროფიციტური ბიუჯეტის პირობებში. საერთოდ დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის ფისკალური პოლიტიკა ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრისადმი უნდა იყოს მიმართული. აქ ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანია საგადასახადო სისტემის რეგულირება (საგადასახადო განაკვეთების ზრდა ან ახალი გადასახადების შემოღება), მოსახლეობისთვის ფასიანი ქაღალდების მიყიდვა, საგარეო სესხების აღება, ახალი ფულის მოჭრა, სახელმწიფო ხარჯების შემცირება და სხვა.

ამით შეიძლება ვარეგულიროთ ქვეყნის შემოსავლები, აგრეთვე დანახარჯები და მივიღოთ ყოველწლიურად პროფიციტური ბიუჯეტი. მაგრამ ეკონომისტთა გარკვეული აზრით, არაა საჭირო ყოველწლიურად ბიუჯეტის დაბალანსება, ვინაიდან საჭიროა ეკონომიკის ციკლური განვითარების გათვალისწინება. აქედან ამ თეორიის თანახმად, ბიუჯეტის დაბალანსება უნდა მოხდეს ციკლის ცალკეული ფაზების მიხედვით და ზოგჯერ მხარი უნდა დავუჭიროთ ხარჯების ხელოვნურ გადიდებას და დეფიციტური ბიუჯეტის წარმოქმნას. მაგალითად, იმისთვის, რომ შეარბილოს ეკონომიკის დაქვეითება, საჭიროა სახელმწიფომ შეამციროს გადასახადები და გაადიდოს ხარჯები. ეს პოლიტიკა განაპირობებს პირველ ხანებში დეფიციტური ბიუჯეტის წარმოქმნას, მაგრამ შემდგომში ის განდება წარმოების მოცულობის გადიდებისა და მყარი, პროფიციტური ბიუჯეტის წარმოქმნის საიმედო გარანტი. ასეთი პოლიტიკის გატარებისას მთავრობას ხელთ უნდა ჰქონდეს შემოსავლებისა და გასავლების შესახებ, აგრეთვე ფისკალური პოლიტიკის გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომელსაც ემსახურება ფისკალური სტატისტიკა.

ამრიგად, საბიუჯეტო-ფისკალური სტატისტიკის ძირითადი ამოცანებია:

1. ფედერალური და მუნიციპალური ბიუჯეტების შემოსავლების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკის, შემოსავლე-

ბის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის რაოდენობრივი გაზომვა და პროგნოზირება;

2. დანახარჯების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკის გაზომვა, დანახარჯებზე მოქმედი ფაქტორების რეგრესიულ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება;

3. ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობის, ხარჯებისა და შემოსავლების მიხედვით სტრუქტურის, დინამიკის, ბიუჯეტის დეფიციტზე, მოქმედი ფაქტორების რეგრესიულ-სტატისტიკური ანალიზი, დეფიციტის პროგნოზი და ა.შ.

4. საბიუჯეტო-ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესწავლა და მეთოდოლოგიის დამუშავება.

2. ბიუჯეტის შემოსავლები და მათი სტატისტიკური შესწავლა

ფისკალური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, შეისწავლოს სახელმწიფო ბიუჯეტის (ფედერალური ანუ ცენტრალური ბიუჯეტისა და ადგილობრივი ანუ მუნიციპალური ბიუჯეტის ჯამი) შემოსავლების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკის და შემოსავლებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შესწავლა და პროგნოზირება. ეკონომიკური თეორიის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ხუთი წყაროა დასახელებული:

1. შემოსავალზე გადასახადი;
2. მოხმარებაზე გადასახადი;
3. საკუთრებაზე გადასახადი;
4. სხვა გადასახადები;
5. არასაგადასახადო შემოსავლები.

ამას გარდა, შემოსავლები მოიცავს, აგრეთვე, ოფიციალურ ტრანსპერტებსაც, რომლებიც არის არაანაზღაურებადი, არადამბრუნებადი, არააუცილებელი შემოსავლები. მათ გააჩნიათ არარეგულარული, ნებაყოფლობითი ხასიათი (სუბვენციების, ჩუქების, რეპარაციების და სხვა სახით) და რომ-

ლებსაც ბიუჯეტი ლეზობს სახელმწიფო მართვის სხვა (როგორც სამამულო, ისე უცხოური), აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემდეგნაირი კლასიფიკაცია:

I. საერთაშორისო შემოსავლები და მიღებული ოფიციალური ტრანსპერტები (II%VII);

II. საერთაშორისო შემოსავლები (III%V);

III. მიმდინარე შემოსავლები (IV%V);

IV. საგადასახადო შემოსავლები;

მათ შორის:

1. საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, გადასახადი კაპიტალის საბაზრო ღირებულების გადიდებაზე;

2. სოცდაზღვევის ანარიცხები;

3. გადასახადი ხელფასის ფონდსა და სამუშაო ძალაზე;

4. გადასახადი საკუთრებაზე;

5. შიდა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე;

6. გადასახადები საერთაშორისო ვაჭრობას ადა საგარეო ოპერაციებზე;

7. სხვადასხვა გადასახადები;

V. არასაგადასახადო შემოსავლები;

VI. შემოსავლები ოპერაციებიდან კაპიტალით;

VII. მიღებული ოფიციალური ტრანსპერტები.

როგორც ჩანს, შემოსავლებიდან, პირველ რიგში, გამოიყოფა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, რომლებსაც საბიუჯეტო შემოსავლებში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს.¹

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად მუხლებში ასახულია: 1) საგადასახადო შემოსავლები,

¹ამ კურსის მომდევნო მე-4 თემაში გადასახადები დაწვრილებით იქნება განხილული. იქ მხოლოდ მათ სტატისტიკურ შესწავლაზე იქნება ყურადღება გამახვილებული

მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი; საბაჟო გადასახადი; საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და სხვა გადასახადები. 2) კაპიტალური შემოსავალი; 3) არასაგადასახადო შემოსავლები; 4. გრანტები; 5. სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავლები (სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო საგზაო ფონდი). მიწის გადასახადი, გადასახადი ქონების გადაცემისთვის, ქონების გადასახადი, ბუნებრივი რესურსებით სარიგებლობისთვის და სხვა ადგილობრივი გადასახადები მთლიანად ჩაირიცხება საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში. ამასთან ერთად, ამ ბიუჯეტების შემოსავალში ჩაირიცხება მოგებისა და ფიზიკურ პირთა გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადის, აგრეთვე, მათ ტერიტორიაზე არსებული გადასახადის ნაწილი გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს საშემოსავლო წყაროების უკმარისობის შემთხვევაში შეიძლება გამოეყოს გრანტების ნაწილი, რომელსაც ტრანსპერტებს უწოდებენ. ეს უკანასკნელნი ადგილობრივ ხელისუფლებას ევალება გამოიყენოს მოსახლეობის სოციალური დაცვის, ეკოლოგიური საკითხების რეგულირების, სტიქიური უბედურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში, როგორც დავინახეთ, ასახულია სპეციალური სახელმწიფო ფონდები (სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდი, დასაქმების სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო საგზაო ფონდი), რომელთა შემოსავლების წმარობია შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადი.

ფისკალური სტატისტიკა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის განსაზღვრისთვის ეყრდნობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმატივებს შემოსავლე-

ბის თითოეული მუხლის (საგადასახადო შემოსავლები,¹ არა-საგადასახადო შემოსავლები, სპეციალური სახელმწიფო ფონდების და სხვათა შესახებ) მიხედვით.

სტატისტიკა ახდენს, აგრეთვე, შემოსავლების გეგმის შესრულების შემოწმებას გეგმის შესრულების შეფარდებითი სიდიდის გამოყენებით. მაგალითად, 1996-1998 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური შემოსავლების (სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან შემოსავლები) მიხედვით გეგმის შესრულების სურათი ასე გამოიყურებოდა:

მაჩვენებლები	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.
გეგმა (მლნ. ლარი)	4.5	10.5	25.0
ფაქტობრივი (მლნ. ლარი)	20.9	13.1	47.0
გეგმის შესრულების პროცენტი	464.5	125.3	188.1

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური შემოსავლების გეგმის შესრულება, როგორც ჩანს, პრივატიზაციიდან ანც კაპიტალური შემოსავლების გეგმა 1996-1998 წლებში საქართველოს ბიუჯეტში 1996-1998 წლებში გადაჭარბებით სრულდებოდა.

საბიუჯეტო შემოსავლების დინამიკა წლების მიხედვით შეიძლება გავიანგარიშოთ ორი გზით: დინამიკის შეფარდებითი სიდიდეებისა და ინდექსების გამოყენებით. თუ გავიხსენებთ დინამიკის შეფარდებით სიდიდეებს საბიუჯეტო შემოსავლების მიმართ, გვექნება: ჯაჭვური დინამიკის შეფარდებითი სიდიდეები, რომლებიც გვიჩვენებს თითოეული წლის საბიუჯეტო შემოსავლის შეფარდებას მისი წინა წლის საბიუჯეტო შემოსავალთან.

$$K_1 = \frac{Y_2}{Y_1}, K_2 = \frac{Y_3}{Y_2}, \dots, K_{n-1} = \frac{Y_n}{Y_{n-1}}$$

სადაც, K_i და K_{i-1} -არის შესაბამისად i -ური და $i-1$

¹დაწვრილებით იხილეთ მე-4 თემაში საგადასახადო ფისკალურ სტატისტიკაში

წლების საბიუჯეტო შემოსავლების ჯაჭვური ზრდის ტემპები;

Y_i და Y_{i-1} -არის შესაბამისად i -ური და $i-1$ წლების საბიუჯეტო შემოსავლების აბსოლუტური მნიშვნელობები.

საბაზისო დინამიკის შეფარდებითი სიდიდეები, რომლებიც გვიჩვენებს თითოეული წლის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას ერთი რომელიმე საბაზისო წლის მიმართ:

$$K_1 = \frac{Y_2}{Y_1}, K_2 = \frac{Y_3}{Y_1}, \dots, K_{n-1} = \frac{Y_n}{Y_1}$$

მაგალითად, 1999 წლის გეგმით საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებსა და გრანტებს უნდა შეედგინა 922,5 მლნ ლარი, ხოლო 1997 წლის შესაბამისმა მაჩვენებლებმა ფაქტობრივად შეადგინა 593,2 მლნ ლარი. მაშასადამე, 1997-1999 წლებში საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის

ტემპმა შეადგინა $K = \frac{922.5}{593.2} = 1.55$ ანუ 155%, ხოლო მატე-

ბის ტემპმა 1,55-1,010,55 ანუ 55%. ასე შეიძლება გავიანგარიშოთ ზრდისა და მატების ტემპები საბიუჯეტო შემოსავლების ცალკეულ სახეობათა მიხედვით. ასეთივე მაჩვენებლები

$i = \frac{q_1}{q_0}$ სადაც i არის ინდივიდუალური ინდექსი, რომელიც

გვიჩვენებს თითოეული საანგარიშო პერიოდის ცვალებადობას საბაზრო პერიოდთან შედარებით; q_1 და q_0 -შესაბამისად, საბაზისო და საანგარიშო პერიოდის საბიუჯეტო შემოსავლების აბსოლუტური მნიშვნელობანი.

მაგრამ, თითოეული საბიუჯეტო გადასახადის აბსოლუტური მოცულობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორი ფაქტორის ზემოქმედებისგან მიღებული სიდიდე: ერთი არის ამოსავალი ბაზა (მოცულობითი სიდიდე, ფაქტორი), მეორე - საგადასახადო განაკვეთი (ხარისხობრივი ფაქტორი). მაგალითად, მთლიან საბიუჯეტო შემოსავლებს განაპირობებს მთლი-

ანი შიდა პროექტის მოცულობა და მის მიმართ საბიუჯეტო შემოსავლების პროცენტი.¹ ამჟამად საქართველოში საგადასახადო შემოსავლების მოცულობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით შეადგენს 9-10 პროცენტს, მაშინ, როდესაც შესაბამისი მაჩვენებელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში 27%-მდე აღწევს. ასე შეიძლება დაიშალოს ფაქტორებად, აგრეთვე, საგადასახადო შემოსავლების თითოეული სახეობანი. ეს ფაქტორებია საგადასახადო განაკვეთი და საგადასახადო ბაზა.

მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადის სიდიდეს ორი ფაქტორი განსაზღვრავს: დამატებული ღირებულება და საპროცენტო განაკვეთი (ამჟამად მოქმედებს, მაგალითად, 20%-იანი განაკვეთი).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ავაგოთ საბიუჯეტო შემოსავლების საერთო ანუ აგრეგატული ინდექსები:

$I_{q\lambda} = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_0 \lambda_0}$ (საბიუჯეტო შემოსავლების საერთო ინდექსი);

$I_q = \frac{\sum q_1 \lambda_0}{\sum q_0 \lambda_0}$ (საგადასახადო ბაზის აგრეგატული ინდექსი);

$I_\lambda = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_1 \lambda_0}$ (საგადასახადო განაკვეთის აგრეგატული ინდექსი)?

სადაც, q_0 და q_1 შესაბამისად საბაზისო და საანაგარიშო წლის საგადასახადო ბაზა აბსოლუტური ხზომის ერთეულში;

λ_0 და λ_1 საგადასახადო განაკვეთია შესაბამისად საბა-

¹ ამ პროცენტს საერთო ჯამში განსაზღვრავს საგადასახადო განაკვეთების სიდიდენი და მათი ცვალებადობა

ზისო და საანაგარიშო პერიოდებში (მაგალითად, რადგან ამჟამად დამატებული ღირებულების საგადასახადო განაკვეთია 20%, ამიტომ $\lambda_1 = 0.20$).

ზემოთ მოტანილ ინდექსებს შორის კავშირი ასეთნაირად გამოისახება:

$$\frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_0 \lambda_0} = \frac{\sum q_1 \lambda_0}{\sum q_0 \lambda_0} \times \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_1 \lambda_0} \text{ ანუ } I_{q\lambda} = I_q \times I_\lambda$$

მაშასადამე, თუ ვიცით ორი მათგანი, შეიძლება გავიანგარიშოთ მესამე. ვთქვათ, საგადასახადო საბიუჯეტო შემოსავლები 1999 წელს 1998 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 30%-ით, ე.ი. ინდექსია 1,30, საგადასახადო განაკვეთები საშუალოდ იზრდება 5%-ით, ე.ი. ინდექსია 1,05. როგორ უნდა შეიცვალოს საგადასახადო ბაზა 1999 წელს 1998 წელთან შედარებით?

$$I_{q\lambda} = 1.30; I_\lambda = 1.05; I_q = \frac{I_{q\lambda}}{I_\lambda} = \frac{1.30}{1.05} = 1.24 \text{ ეს იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო ბაზა უნდა გაიზარდოს } 24\% \text{-ით.}$$

აი, ესაა საბიუჯეტო-ფისკალურ სტატისტიკაში ინდექსების გამოყენების მეთოდოლოგიური სიახლე.

საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურის შესწავლა წარმოებს სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდის გამოყენებით, რაც სტატისტიკის ზოგადი თეორიიდანაა ცნობილი. აქ სტრუქტურა შეისწავლება სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის საინტერესოა საბიუჯეტო შემოსავლების შემადგენლობა შემოსავლების სახეობათა (საგადასახადო, არასაგადასახადო და სხვა) მიხედვით, თითოეული შემოსავალი შესაძლებელია დაიშალოს ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად და განგარიშებულ იქნეს თითოეული მათგანის ხვედრითი წილი მთელს ერთობლიობაში. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა შემდეგი სურათისაა:

საბიუჯეტო შემოსავლების სტრუქტურა
(%-ობით ვაშისადმი)

შემოსავლების სახელწოდებანი	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.
შემოსავლები და გრანტები სულ მათ შორის:	100.0	100.0	100.0
საგადასახადო შემოსავლები	59.5	53.1	60.9
კაპიტალური შემოსავლები	2.2	7.6	6.5
არასაგადასახადო შემოსავლები გრანტები	17.0	11.5	6.8
4.1	4.9	9.4	
სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავლები	17.2	22.9	16.4

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მოცემულ წლებში გაიზარდა საგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების, აგრეთვე გრანტების, ხოლო შემცირდა სხვა, დანარჩენი შემოსავლების ხვედრითი წილი, რაც შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი იარაღია მთავრობის ხელში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან და ეკონომიკური რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით, საინტერესოა საბიუჯეტო შემოსავლების განაწილება საკუთარი და უცხოური წყაროების მიხედვით. საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებში საკუთარ წყაროებს ეჭირა 1995 წელს 63,2%, 1996 წელი-86,2%, 1997 წელს-95,9%, 1998 წელს-95,1%, ხოლო 1999 წელს გვემით-90,6%, დანარჩენი მოდის უცხოურ გრანტებსა და ტრანსპერტებზე.

საბიუჯეტო შემოსავლების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის გამოყენება გვიჩვენებს ამ შემოსავლებზე მოქმედი ფაქტორების გავლენას და ამ საფუძველზე შეიძლება მისი პროგნოზირებაც. აქ შეიძლება ერთფაქტორიანი წრფივი და არაწრფივი, აგრეთვე მრავალფაქტორიანი წრფივი და არაწრფივი მოდელების გამოყენება. ყველაზე მნიშვნელოვნად საბიუჯეტო შემოსავლების ცვალებადობაზე მოქმედებს მთლიანად შიდა პროდუქტის ღირებულება წლების მიხედვით. აქ ამ ორ მაჩვენებელთა შორის ურთიერთკავშირის საანალი-

ზოდ შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკის ზოგადი თეორიიდან ცნობილი წრფივი კავშირის განტოლება:

$$Y = a_0 + a_1x$$

სადაც Y არის საბიუჯეტო შემოსავლები, ხოლო x - მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება წლების ან თვეების მიხედვით. a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელოვანია პოვნა შეიძლება უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით და ნორმალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნით:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x = \sum y \\ a_0 \sum x + a_1 \sum x^2 = \sum xy \end{cases}$$

ამასთან, a_0 გვიჩვენებს საბიუჯეტო შემოსავლების რაღაც საწყის მნიშვნელობას საანალიზო პერიოდის დასაწყისისთვის, ხოლო a_1 - მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი ერთეულით გადიდება თუ რამდენი ერთეულით გაადიდებს საბიუჯეტო შემოსავლებს.

საბიუჯეტო საერთო შემოსავალი შეიძლება დაუკავშიროთ შემოსავლების ცალკეულ სახეობებს წრფივი ან არაწრფივი ფორმის მოდელების გამოყენებით. წრფივი მრავალფაქტორული მოდელი ამ შემთხვევაში ასეთ სახე მიიღებს:

$$Y = a_0 + a_1x_1 + a_2x_2 + \dots + a_nx_n,$$

სადაც, Y საბიუჯეტო საერთო შემოსავალია წლების მიხედვით;

x_1, x_2, \dots, x_n - შემოსავლებია ცალკეული წლების მიხედვით. აქაც მრავალფაქტორული მოდელის ამოხსნა მოგვცემს a_0, a_1, \dots, a_n პარამეტრების მნიშვნელობებს, რომლებიც აყალიბებს რაოდენობრივ კავშირურთიერთობებს საბიუჯეტო შემოსავლებსა და ცალკეულ ფაქტორებს შორის.

3. ბიუჯეტის დანახარჯები და მათი სტატისტიკური შესწავლა

საბიუჯეტო-ფისკალური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფო-საბიუჯეტო ხარჯების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკისა და ამ ხარჯებზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული შესწავლა.

ეკონომიკური თეორიის განმარტებით „სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის (ხარჯების) ძირითადი ელემენტებია: ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების დაფინანსება, სამხედრო ხარჯების დაფინანსება, სახელმწიფო მართვის აპარატის და სამართალდამცავი ორგანოების დაფინანსება და ა.შ.“¹

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული საბიუჯეტო ხარჯებისა და დაფარვის გამოკლებით დაკრედიტების კლასიფიკაცია განიხილავს ფუნქციონალური და ეკონომიკური ნიშნებით.

ფუნქციონალური კლასიფიკაცია დანახარჯების 14 მუხლს მოიცავს. ეს ხარჯებია:

1. საერთო ხასიათის სახელმწიფო მომსახურებანი;
2. თავდაცვა;
3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
4. განათლება;
5. ჯანდაცვა;
6. სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა;
7. საბინაო-კომუნალური მეურნეობა;
8. დასვენების ორგანიზაცია და რელიგიისა და კულტურის სფეროში მოღვაწეობა;
9. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი;
10. სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა?

¹ეკონომიკური თეორია სახელმძღვანელო, საგამომცემლო ფირმა, „სიახლე“, თბ. 1998 წ. გვ. 401

11. სამთომადნო-მომპოვებელი მრეწველობა და სასარგებლო მრეწველობა, მშენებლობა;

12. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;

13. ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებანი;

14. დანახარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ძირითად ჯგუფებს.

ამ ფუნქციონალური კლასიფიკაციიდან, როგორც ზემოთ აღნიშნა, შეიძლება ოთხი კატეგორიის ხარჯების გამოყოფა. მათ შორის: საერთო დანიშნულების სახელმწიფოებრივი მომსახურებანი (საერთო საკადრო პოლიტიკა, საერთო საბიუჯეტო საქმიანობა, ცენტრალური შესყიდვა და მომარაგება, საგარეო ურთიერთობანი, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება), საზოგადოებრივი და სოციალური მომსახურებანი (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა, საბინაო-კომუნალური მომსახურება, სანეპიდსადგური, დასვენების ორგანიზაცია და კულტურული საქმიანობა), ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი მომსახურება (ეკონომიკური განვითარება, რეგიონალური მასშტაბის დისპროპორციების რეგულირება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.), სხვა ფუნქციები (პროცენტების გადახდა სახელმწიფო სესხებზე, საერთო ხასიათის ტრანსპერტები, რომლებიც გადაეცემა სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული საბიუჯეტო დანახარჯებისა და დაფარვის გამოკლებით დაკრედიტების ტიპური კლასიფიკაცია ეკონომიკური ოპერაციების მიხედვითაა აგებული და ასეთი სახისაა:

I. საერთო ხარჯები და დაკრედიტებას მინუს დაფარვა (II%V);

II. საერთო ხარჯები (III%IV);

III. მიმდინარე ხარჯები;

1. დანახარჯები საქონელსა და მომსახურებაზე;
2. პროცენტების გადახდა;
3. სუბსიდიები და სხვა მიმდინარე სატრანსპერტო გადახდები;

IV. კაპიტალური ხარჯები;

1. ძირითადი კაპიტალის შექმნა;
2. მარაგების შევსებისთვის საქონლის შექმნა;
3. მიწისა და არამატერიალური აქტივების შექმნა;
4. კაპიტალური ტრანსპერტები;

V. დაკრედიტების მინუსის დაფარვა;

1. საშინაო დაკრედიტება;
2. საგარეო დაკრედიტება.

რეკომენდირებული კლასიფიკატორები განმარტავს, რომ მიმდინარე ხარჯებია ანაზღაურებადი გადახდები (კაპიტალური აქტივების შესაქმნელად განკუთვნილი გადახდების გარეშე) და ყოველგვარი არაანაზღაურებადი გადახდა, რომელიც განკუთვნილია მიმღების მიერ კაპიტალური აქტივების შესაძენად, კაპიტალური აქტივების მიერ კაპიტალური შესაძენად, კაპიტალური აქტივების დაზიანებისგან გამოწვეული საკომპენსაციო დანაკარგები ან ასეთი გადახდის მიმღების საფინანსო კაპიტალის გადიდება.

„დაკრედიტებაში დაფარვის გამოკლებით“ იგულისხმება მხოლოდ იმ სახელმწიფო ორგანიზაციების საკრედიტო საქმიანობა, რომელთა ფონდები მთლიანად წარმოიქმნება და ფორმირდება სახელმწიფო სახსრებით. აქ შედის სესხების მიცემა და აქციების შექმნა კრედიტით დაფარული თანხის გამოკლებით, აქციის გაყიდვით მიღებული ამონაგები და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო ხარჯები მთლიანად ემთხვევა ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებული სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას. მათი მოცულობა, სტრუქტურა და ამ სტრუქტურის დინამიკა 1997-1999 წლებში შემდეგ სურათს იძლევა:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა 1997-1999 წლებში¹

ხარჯების კლასიფიკაციის კატეგორიები	1997 წ.		1998 წ.		1999 წ.	
	ასოლ (მლნ.ლ)	%-ით ჯამისადმი	ასოლ (მლნ.ლ)	%-ით ჯამისადმი	ასოლ (მლნ.ლ)	%-ით ჯამისადმი
ხარჯები სულ	776.8	100.0	797.2	100.0	1231.9	100.0
მათ შორის						
1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო ხარჯები	95.8	12.3	65.6	8.2	240.4	19.5
2. თავდაცვა	67.5	8.7	56.5	7.1	51.8	4.1
3. საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	93.3	12.1	65.9	8.3	91.1	7.5
4. განათლება	46.3	6.1	30.4	3.8	46.5	3.8
5. ჯანდაცვა	25.6	3.3	26.7	3.4	34.7	2.9
6. სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური უზრუნველყოფა	190.0	24.5	216.1	27.1	240.2	19.5
7. საბინაო კომუნალური მეურნეობა	5.8	0.7	7.0	0.9	5.1	0.4
8. საქმიანობა კალტურის, სპორტის და რელიგიის სფეროში	36.1	4.6	33.1	4.2	27.5	2.2
9. სათბობი-მეურნეობის სფეროში	11.8	1.5	3.7	0.5	11.6	0.9
10. სოფლის მეურნეობა, საცდელი მეურნეობა, მეთევზეობა, მონადირეობა	17.4	2.2	22.2	2.8	29.4	2.4
11. სათბობი-მეურნეობის მრეწველობა და სასარგებლო წიაღისეული სათბობის გარეშე, გადამამუშავების მრეწველობა, მშენებლობა	2.7	0.3	2.0	0.3	1.1	0.1
12. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	38.6	5.0	49.3	6.2	37.7	3.0
13. გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვა და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება	3.4	0.4	15.0	1.8	4.2	0.3
14. ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებას	142.5	18.3	203.0	25.5	410.5	33.4

¹მონაცემები აღებულია შრომიდან: რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, თბ. 1999 წ. გვ. 16

როგორც ჩანს, ძალიან დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ალა ე.წ. „გაუმჭვირვალე“ (გაუშიფრავი) ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს, რაც საბიუჯეტო დანახარჯების არამიზნობრივ და ფუქსავატურ მიმართულებებზე მეტყველებს. თანაც, ამ ხარჯების ხვედრითი წილი აღნიშნულ პერიოდში წლითიშლობით იზრდება (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების ხვედრითი წილი გაიზარდა 12,3%-დან 19,5%-მდე, ხოლო გაუშიფრავი ხარჯების ხვედრითი წილი - 18,3%-დან 33,4%-მდე ანც თითქმის ორჯერ. აი, ესეც მეტყველებს კორუფციის მაღალ დონეზე სამთავრობო სტრუქტურებში და მის თითქმის დაკანონებას საქართველოში. ამ პირობებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, თანაც ზოგჯერ და უმთავრესად თვით კორუფციონერების მიერ უნაყოფოა და არავითარ შედეგს არ მოიტანს. ამ ფაქტებზე მინიშნებს, აგრეთვე ოფიციალური მასალა, რაც გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიისა და კონტროლის კომიტეტის მასალებში.

საბიუჯეტო ხარჯებზე მოქმედი ფაქტორები, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი, რაც სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, შეიძლება ვაწარმოოთ საბიუჯეტო შემოსავლების მიმართ ზემოთნაჩვენები მეთოდოლოგიის მსგავსად. ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს საბიუჯეტო ხარჯების ცვალებადობას, შეიძლება დავაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნების მიხედვით, თუ ხარჯებს განვიხილავთ ზემოთ მოტანილ ფუნქციონალურ ჭრილში, მაშინ საერთო საბიუჯეტო ხარჯები კორელაციურ-რეგრესიული განტოლებებით შეიძლება დავაკავშიროთ როგორც ხარჯების თითოეულ საკლასიფიკაციო მუხლებთან ცალ-ცალკე (წყვილად კორელაციური ანალიზი), ისე ყველა დანახარჯთან ერთდროულად (მრავლობითი კორელაციური ანალიზი). პირველ შემთხვევაში საერთო ხარჯებისა და თითოეული საკლასიფიკაციო

ხარჯის (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება ან საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების ხარჯები და ა.შ.) ურთიერთდამოკიდებულებას წრფივი კავშირის დროს ასახავს წრფივი განტოლება:


$$Y = a_0 + a_1 x_1$$

სადაც, Y - საბიუჯეტო საერთო დანახარჯებია;

x - რომელიმე კონკრეტული დანახარჯია ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;

a_0 და a_1 - მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი რაოდენობრივი პარამეტრებია (კერძოდ a_0 გვიჩვენებს საერთო საბიუჯეტო ხარჯების საწყის მოცულობას, ხოლო a_1 - თუ რამდენად იზრდება ან მცირდება რომელიმე კონკრეტული ფუნქციონალური დანახარჯის ერთი ერთეულით ცვალებადობისას).

გრავიკულად ეს ურთიერთდამოკიდებულება ასე გამოისახება:



მეორე შემთხვევაში საერთო საბიუჯეტო დანახარჯები (Y) და ერთდროულად ყველა ფუნქციონალურ დანახარჯებს (X_1, X_2, \dots, X_n) შორის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება გამოვსახოთ მრავლობითი კორელაციით:

$$Y = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + \dots + a_n x_n,$$

სადაც, a_0 - გვიძვენებს საერთო საბიუჯეტო ხარჯების რაღაც საწყის მოლცულობას, ხოლო a_0, a_1, \dots, a_n - გვიჩვენებს ცალ-ცალკე x_1 (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება), x_2 (თავდაცვა), ..., x_n (ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა განყოფილებებს) თუ რამდენად მოქმედებს საერთო საბიუჯეტო დანახარჯებზე (Y) ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში.

ასეთი ზესით შეიძლება მოვახდინოთ, აგრეთვე, თითოეული საკლასიფიკაციო დანახარჯის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი და პროგნოზირება. მაგალითად, ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ძირითად განყოფილებებს, შეიძლება დაიშალოს სახელმწიფო ვალის მომსახურების, ტრანსპერტების და სხვა შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც განიხილება ცალ-ცალკე ფაქტორად და შეიძლება ვაწარმოოთ მათი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ანალიზი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და დანახარჯებზე. მაგალითად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბიუჯეტო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას. აქ გამოიყოფა ანაზღაურებათა პრიორიტეტული მიმართულებანი, რომლებიც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საერთო შრომის ანაზღაურების ფონდზე. ამ საქმეშიც წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი და პროგნოზირება. უფრო დაწვრილებითი ანალიზი და პროგნოზირება შეიძლება ვაწარმოოთ მოსახლეობის ცალკეული ფენების შემოსავლებისა და დანახარჯების მიხედვით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების ღირებულებაში მნიშვნელოვან დიფერენციაციას იწვევს.

ამ შემთხვევაში ცხოვრების დონის განმარტებული საშუალო მაჩვენებლები (მაგალითად, საშუალო ხელფასი და სხვა) ჩქმალავს ცხოვრების დონის მიხედვით მოსახლეობის სხვადასხვა ფენათა შორის განსხვავებას და ვერ შწარმოადგენს რეალურ სურათს. მაგალითად, 1997 წლის მონაცემებით, საქართველოში შინამეურნეობის ყველაზე ნაკლებ მხარჯველთა მეხუთედი უძლიდრეს მხარჯველთა მეხუთედს 19-ჯერ ჩამორჩებოდა ხარჯვის დონით,¹ მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური შეფარდება 8-10-ზე მეტი არ არის. განსხვავება ეკონომიკურად მეტად და ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ცხოვრების დონეთა შორის კონტრასტული რჩება, აგრეთვე, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც, 1990 წლისთვის მეტად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 20 პროცენტის შემოსავლები ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის 20 პროცენტის შემოსავლებს აჭარბებდა თურქეთში 16,3-ჯერ, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და პორტუგალიაში - 8-9-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, საფრანგეთში, ფინეთსა და დანიაში - საშუალოდ 7-ჯერ და უფრო მეტად, მელგაში, იაპონიაში, ნიდერლანდებში, ირლანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთში - საშუალოდ 5-ჯერ და უფრო მეტად.²

საქართველოში ვაუჩერის მიხედვით განსაზღვრულ იქნა თითოეული მოქალაქის საშუალო-წილობრივი ქონება. სინამდვილეში პრივტიზაციის შედეგად ქონება მეტად არათანაბრად განაწილდა საქართველოს მოქალაქეთა შორის. ქონების დიდი ნაწილი მოხვდა მცირე მესაკუთრეთა ხელში, რის გამო შეიძლება ითქვას, რომ „მდიდარი“ მოსახლეობის 20 პროცენტის საკუთრება დიდად აჭარბებს „ღარიბი“ მოსახლეობის 20 პროცენტის ქონებას. ასეთ შემთხვევაში სა-

¹ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (1997 წლის იანვარ-სექტემბერში), თბ. 1997 წ. გვ. 36

² Елисеева И. Ю. и др. Международная статистика. Минск, "Высшая школа", 1995 г.

შუალო მაჩვენებლები ფიქტიურ ხასიათს ატარებს და ვერ ეძლევა სოციალურად ყველაზე ღუბჯირ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის ცხოვრების ნათელ სურათს, რაც ერთობ აუცილებელია სამთავრობო ღონისძიებათა გასატარებლად.

ამიტომ სტატისტიკამ შეიმუშავა ცხოვრების დონის დიფერენცია/ციის მძლავრი მეცნიერული მეთოდები, რომელთაგან აღსანიშნავია გ. გალტონის დიფერენციაციის კოეფიციენტი, კარადო ჯინის კოეფიციენტი, ლორენცის მრუდის კონცენტრაციის კოეფიციენტი და სხვა. XIX საუკუნის ინგლისელმა ბიოლოგმა და ანთროპოლოგმა, ფ. გალტონმა მოვლენებისა და პროცესების დიფერენციაციის აბსოლუტური მაჩვენებლის (P) გასაანგარიშებლად გამოიყენა ფორმულა:

$$P = \frac{Q_3 - Q_1}{2}$$

სადაც Q_1 და Q_3 პირველი და მესამე რივის კვადრატები. ამ საფუძველზე დიფერენციაციის კოეფიციენტს ანუ ვარიანტების განხრევის ხარისხობრივ მაჩვენებელს პროცენტულად მედიანის მიმართ (R) ანგარიშობენ ფორმულით:

$$R = \frac{P}{X_{\text{მე}}}} \times 100$$

სადაც $X_{\text{მე}}$ - მედიანის მნიშვნელობა ვარიაციულ მწკრივში.

სტატისტიკოსთა ერთი ნაწილი მოვლენებისა და პროცესების განვითარების დიფერენციაციის ხარისხობრივ მაჩვენებლად იყენებს კვარტილურ ($R_{\text{კვ}}$), დეცილურ ($R_{\text{დე}}$) ან ვარიაციის (V) კოეფიციენტებს.¹

$$R_{\text{კვ}} = \frac{Q_3 - Q_1}{Q_3 + Q_1}$$

¹Виноградова Н.М. и дрб Общая теория статистика. М. 1968, стр. 178

ავტორთა აზრით, უძრავლეს შემთხვევაში ვარიაციის კოეფიციენტი (V) 15-ჯერ აჭარბებს კვარტილურ კოეფიციენტს $V \approx R_{\text{კვ}} \times 1.5$.

ეკონომიკურ მაჩვენებელთა განაწილების დიფერენციაციის უფრო რეალური მახასიათებლებია კვადრტილური კოეფიციენტი (მესამე კვარტილის შეფარდება პირველ კვარტილიან), დეცილის კოეფიციენტი (მეცხრე დეცილის შეფარდება პირველ დეცილთან) და სხვა.

აღნიშნული კოეფიციენტები გვიჩვენებს ვარიაციული მწკრივის კიდურა წევრების ურთიერთდაშორების ხარისხს. მასში არ აისახება მწკრივის ყველა ვარიანტის განსხვავებანი სხვა ვარიანტებისგან. ამიტომ იტალიელმა სტატისტიკოსმა კორადო ჯინის დიფერენციაციის საშუალო აბსოლუტურ საზომად გამოიყენა თითოეული ვარიანტის წყვილად აღებული ყველა სხვა ვარიანტისგან განსხვავების აბსოლუტურ მნიშვნელობათა საშუალო არითმეტიკული:

$$\Delta = \frac{\sum_{i=1}^n \sum |x_i - x_j|}{n^2} \quad (\text{მარტივი})$$

სადაც $|x_i - x_j|$ - თითოეული ვარიანტის ყველა სხვა, x ვარიანტისგან გადახრის აბსოლუტური მნიშვნელობა; n - ვარიაციული მწკრივის ვარიანტების რიცხვი; x_i და x_j - შესაბამისად i -ური და j -ური ვარიანტების განმეორების სიხშირე. აყველა შესაძლო განსხვავების აბსოლუტურ მნიშვნელობათა რაოდენობა რომ n^2 -ის ტოლია, დავრწმუნდებით მარტივ მაგალითზე

ჩაის მოსავლიანობა სხვადასხვა მიწის ნაკვეთზე (ც/ჰა)	$x_1 - x_1$	$x_2 - x_1$	$x_3 - x_1$	$x_4 - x_1$	
I	20	20-20=0	25-20=+5	30-20=+10	40-20=+20
II	25	20-25=-5	25-25=0	30-25=+5	40-25=+15
III	30	20-30=-10	25-30=-5	30-30=0	40-30=+10
IV	40	20-40=-20	25-40=-15	30-40=-10	40-40=0

როგორც ვხედავთ, სხვაობათა რაოდენობა 16-ს ანუ ვარიანტების რაოდენობის (4) კვადრატს შეადგენს. ამიტომ თავისთავად ცხადია საშუალო არითმეტიკული შეადგენს სხვაობათა აბსოლუტური მნიშვნელობების ჯამის შეფარდებას 16-ზე ანუ 4-ის კვადრატზე (4²):

$$\bar{\Delta} = 7.5 \text{ ც/ჰა}$$

ჯინის კოეფიციენტი ანუ ვარიაციის ხარისხი პროცენტულად გაიანგარიშებასაშუალო აბსოლუტური გადახრის ($\bar{\Delta}$) შეფარდებით საშუალო არითმეტიკულის ან მედიანის სიდიდესთან. ჩვენს მაგალითზე

$$K_{\text{ჯინ}} = \frac{\bar{\Delta} \times 100}{x} = \frac{7.5 \times 100}{29} = 25\%$$

ჯინის კოეფიციენტის უპირატესობად ითვლება ვარიანტების მნიშვნელობათა სხვაობის აღება არა რაიმე მუდმივი რიცხვიდან (საშუალო არითმეტიკული, მედიანა ან სხვა რომელიმე ცენტრალური სიდიდე), არამედ ყველა სხვა ვარიანტების მნიშვნელობებიდან. ჯონ ედნიულისა და მ. ჯ. კენდელის მიერ დამტკიცებულია, რომ $\bar{\Delta}^2 = \sqrt{2}\sigma^2$ ¹ თუ $\sqrt{2}$ უგულვებელყოფთ, მივიღებთ, რომ ჯინის კოეფიციენტი ვარიაციის კოეფიციენტის ტოლია. მართლაც, ჩვენს მაგალითზე ($\bar{x} = 29 \text{ ც/ჰა}$) საშუალო კვადრატული გადახრა იქნება:

$$\begin{aligned} \sigma &= \sqrt{\frac{\sum(x - \bar{x})^2}{n}} = \\ &= \sqrt{\frac{(20-20)^2 + (25-29)^2 + (30-29)^2 + (40-29)^2}{4}} = \\ &= \sqrt{\frac{9^2 + 4^2 + 1^2 + 11^2}{4}} \approx \sqrt{54} \approx 7.5 \text{ ც/ჰა} \end{aligned}$$

¹Джон Единол, М.Дж, Кенгел — Теория статистика, Госстатиздат ЦСУ СССР М., 1960 г., стр. 183.


რაც დაახლოებით ემთხვევა ჯინის საშუალო აბსოლუტურ გადახრას. ამიტომ ჯინის კოეფიციენტის რთული გაანგარიშებების თავიდან აცილების მიზნით უმჯობესია გავიანგარიშოთ ვარიაციის კოეფიციენტი და ამის მიხედვით მოვლენებისა და პროცესების დიფერენციაციის ხარისხობრივი მახასიათებლები.

განაწილებული პროვატიზებული ქონების ინტერვალები (ათას ლარებში)	მესაკუთრეთა რაოდენობა პროცენტობით ჯამის მიმართ
10.0-მდე	30
10-20	32
20-30	20
30-40	10
40-50	5
50-ზე ზევით	3
სულ	100.0

როგორც ჩანს, ქონების დიდი ნაწილი მესაკუთრეთა სამი პროცენტის ხელშია, რაც განაწილების ჭრელ სურათზე მეტყველებს. ლორენცოს მრუდის ასაგებად საჭიროა პროვატიზებული ქონების ინტერვალური ვარიაციული მწკრივი დავიყვანოთ დისკრეტულზე, რისთვისაც ინტერვალების ქვედა და ზედა მნიშვნელობათა საშუალოებს ვანგარიშობთ მათი ჯამის ორზე შეფარდებით (ამასთან ვინაიდან მწკრივი ღიაა როგორც ქვემოდან, ისე ზემოდან, ამიტომ ქვედა ინტერვალის მნიშვნელობად მივიჩნევთ მისი შმდგომი ინტერვალის სიდიდეს, ხოლო ზედა ინტერვალის სიდიდეთ-მისი წინამდგომი, ქვედა ინტერვალის სიდიდეს) გვექნება: 5,15,25,35,55. გავიანგარიშოთ თითოეულის ხვედრითი წილი ჯამისადმი ან ხშირადობა პროცენტულად. მივიღებთ ახალ ცხრილს:

პრივატიზებული ქონება		მესაკუთრეთა რაოდენობა	
პროცენტობით საერთო ჯამისადმი	კუმულატორი პროცენტები (პროცენტი ნაზარდი ჯამებით) ¹	პროცენტობით საერთო ჯამისადმი	კუმულატორი პროცენტები (პროცენტი ნაზარდი ჯამებით) ¹
2.7	2.7	30	30
8.2	10.9	32	62
14.0	24.9	20	82
19.4	44.3	10	92
25.2	69.5	5	97
30.5	100.0	3	100
100.0		100.0	

ლორენცის მრუდის ასაგებად საჭიროა დეკარტის მართკუთხა კოორდინატთა სისტემის აბსცისთა ლერძზე გადაზომვით მესაკუთრეთა პროცენტული შემადგენლობა, ხოლო ორდინატთა ლერძზე-მათი შესაბამისი ქონების პროცენტული შემადგენლობა. თუ ქონება მესაკუთრეების მიხედვით განაწილებულია თანაბრად, ე.ი. მესაკუთრეების 10%-ს ეკუთვნის ქონების 10%, 20 პროცენტს -20 პროცენტი და ა.შ. მაშინ განაწილების გრაფიკი ღიაგონალს



¹კუმულატორი პროცენტები ანუ პროცენტები ნაზარდი ჯამებით მიიღება წინა პროცენტულ მაჩვენებელს მიმატებული შემდგომი პროცენტული მაჩვენებელი

დაემთხვევა (იხ. გრაფიკი).

მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქონების განაწილება მეტად არათანაბარია. ამიტომ თუ აბსცისთა ლერძზე გადაზომავთ მესაკუთრეთა პროცენტების ნაზარდ ჯამებს და ორდინატთა ლერძზე / პრივატიზებული ქონების შესაბამის მაჩვენებლებს, მივიღებთ ლორენცის მრუდს (გრაფიკზე *abcd* მრუდი). ამ მრუდის დიაგონალისგან დაშორების გადიდებასთან ერთად დიდდება ეკონომიკურ მაჩვენებელთა დიფერენციაციის ხარისხი ან პირიქით. თუ მაჩვენებელთა დიფერენციაციის ხარისხი მცირდება, მრული უახლოვდება დიაგონალს და მასთან თანდამთხვევის შემთხვევაში, განაწილება თანაბარია და კონცენტრაციის კოეფიციენტიც ერთის ტოლია.

მაშასადამე, კონცენტრაციის კოეფიციენტი ($K_{კონც}$) ლორენცის მრუდის დახმარებით შეგვიძლია გამოვსახოთ მრუდის მიერ დიაგონალისგან დაშორებით გამომსახველი ფართობის (S_1) შეფარდებით *ORN* სამკუთხედის მთლიან ფართობთან ($S_1 + S_2$).

$$K_{კონც} = \frac{S_1}{S_1 + S_2}$$

თუ ეკონომიკურ მაჩვენებელთა პროცენტული შემადგენლობა კოეფიციენტების წილადების სახითაა წარმოდგენილი, მაგინ გრაფიკზე გამოსახული *OVNR* კვადრატის მთლიანი ფართობი ერთის ტოლია, ხოლო $S_1 + S_2$ ანუ *ORN* სამკუთხედის ფართობი $1/2$ -ის ტოლი იქნება. ამასთან, თუ კი წერტილებს შორის სწორ ხაზებს გავავლებთ S_2 -ის ფართობი ტრაპეციათა ფართობების ჯამის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. თითოეული ტრაპეციის ფართობს კი განსაზღვრავს ფუძეების ნახევარჯამებისა და სმაღლის ნამრავლი. ტრაპეციის ფუძეებია ორდინატთა ლერძზე გადაზომილი მაჩვენებლები, ხოლო სიმაღლე

/ აბსცისთა ღერძზე გადაზომილ მაჩვენებელთა შორის ინტერვალები ანუ განსხვავებანი. ამრიგად, მთლიანი $S_1 + S_2$, ფართობი $\frac{1}{2}$ -ის ტოლია, ხოლო $S_1 = \frac{1}{2} - S_2$, აქედან გამომდინარე, ზემოთ გამოტანილი კონცენტრაციის კოეფიციენტი შეგვიძლია დავწეროთ შემდეგნაირად:

$$K_{კონც} = \frac{S_1}{S_1 + S_2} = \frac{\frac{1}{2} - S_2}{\frac{1}{2}} = \frac{1 - 2S_2}{1} = 1 - 2S_2;$$

$$K_{კონც} = 1 - 2S_2$$

სადაც, S - ტრაპეციების ფართობთა ჯამია გამოსახული ფარდობით მაჩვენებლებში (ერთის მიმართ).

ის შეგვიძლია ზოგადად ასე წარმოვიდგინოთ:

$$S_2 = \frac{1}{2}l_1h_1 + \frac{1}{2}l_2h_2 + \dots + \frac{1}{2}l_nh_n = \frac{1}{2}(l_1h_1 + l_2h_2 + \dots + l_nh_n)$$

$$S_2 = \frac{1}{2} \sum_{i=1}^n l_i h_i$$

სადაც, l_i - i -ური ტრაპეციის ფუძეების ჯამია, ხოლო h_{i-1} -ური ტრაპეციის სიმაღლეა.

თუ S_2 მნიშვნელობას ჩავსვამთ კონცენტრაციის კოეფიციენტის მნიშვნელობაში, გვექნება:

$$K_{კონც} = 1 - 2\left(\frac{1}{2} \sum l_i h_i\right) = 1 - \sum l_i h_i$$

$$K_{კონც} = 1 - \sum l_i h_i$$

ასე მარტივად მიიღება კონცენტრაციის კოეფიციენტი ლორენცის მრუდის საფუძველზე. მსგავსი კოეფიციენტი უფრო

რთული გზით მიიღო ჯერ კიდევ 60-იან წლებში ვ.ი. რაიციანმა¹ ტრაპეციათა ფართობების მიხედვით, რაც ჩვენს პრაქტიკულ მაგალითზე მიიღებს საანგარიშო ცხრილის სახეს:

პრიფერული ქონება პროცენტობით ნაზარდი საერთო ჯამის მიმართ	მესაკუთრთა რაოდენობა %	ტრაპეციის ნომერი	ტრაპეციის ფუძეები ათწილადობით	ფუძეების ჯამი	ტრაპეციის სიმაღლე ათწილადობით	ტრაპეციის ფუძეების ჯამისა და სიმაღლის ნამრაველი
2.7	30	I	0; 0.03	0.03	0.30	0.009
10.9	32	II	0.03; 0.1	0.14	0.32	0.045
24.9	20	III	0.11; 0.25	0.36	0.20	0.072
44.3	10	IV	0.25; 0.44	0.69	0.10	0.069
69.5	5	V	0.44; 0.70	1.14	0.05	0.057
100.0	3	VI	0.70; 1.00	1.70	0.03	0.051
სულ	100.0	-	-	-	1.0	0.303

თუ ჩვენს მიერ კონცენტრაციის კოეფიციენტის ზემოთ მიღებულ ფორმულაში ჩავსვავთ მიღებულ მაჩვენებლებს, გვექნება:

$$K_{კონც} = 1 - \sum l_i h_i, 1 - 0.303 = 0.697 \text{ ანუ } 69.7\%$$

მაშასადამე, ჯინის კოეფიციენტის გაანგარიშება ლორენცის მრუდის საფუძველზე საკმაოდ გრომატევადია. სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა დიფერენციაციის შედარებით მარტივი მაჩვენებელია ვარიაციის კოეფიციენტი:

$$V = \sigma \cdot 100$$

ჩვენს მაგალითზე ვარიაციის კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ციფრობრივი მასალა ასეთია (ციფრები პირობითი):

¹ВьюЯю Райцин — Математические методы и модели планирования уровня жизни из-во «Экономика»н Мю 1978б стрю 98-99

პრივატიზებული ქონება (ათას ლარებში)	დისკრეტული ვარიაციული მწკრივი (ათ. ლარებში)	მესაკუთრეთა რაოდენობა (%-ით ჯამისადმი)
10.0-მდე	5	30
10-20	15	32
20-30	25	20
30-40	35	10
40-50	45	5
50-ზე ზევით	55	3

ცხადია, პირველ ყოვლისა, უნდა გავიანგარიშოთ საშუალო ქონება (\bar{X}) და დისპრესია (σ^2):

$$\bar{X} = \frac{(5 \cdot 30) + (15 \cdot 32) + (25 \cdot 20) + (35 \cdot 10) + (45 \cdot 5) + (55 \cdot 3)}{30 + 32 + 20 + 10 + 5 + 3} = \frac{1890}{100} \approx 19 \text{ ლარი}$$

$$\sigma^2 = \frac{\sum(x - \bar{x})^2 R}{\sum R} = \frac{(5-19)^2 \cdot 30 + (15-19)^2 \cdot 32 + (25-19)^2 \cdot 20 + (35-19)^2 \cdot 10 + (45-19)^2 \cdot 5}{100} = 1694$$

$$\sigma = 13.02; V = 68\%$$

როგორც ჩანს, სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა დიფერენციაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი ვარიაციის კოეფიციენტის სახით მივიღეთ დაახლოებით იმდენივე, რამდენიც გვქონდა ჯინის კოეფიციენტის მიხედვით. ამასთან ეს უკანასკნელი შედარებით რთულ გაანგარიშებებს მოითხოვს, რითაც იკარგება ამ წესით მისი დადგენისადმი ინტერესი. ახლა ვნახოთ, როგორია ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი კონცენტრაციის დიფერენციაციის კოეფიციენტის გაანგარიშების წესი ზემოთ მოტანილ პრაქტიკულ მაგალითზე. თუ ვარიაციის მწკრივისთვის დამახასიათებელ სიმბოლოებსა და მახა-

სიათებლებს გამოვიყენებთ მაჩვენებელთა დიფერენციაციის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

$$K_{\text{ლიფ}} = 1 - \sum_{i=1}^n (x_{i-1} + x_i) f_i$$

სადაც, $K_{\text{ლიფ}}$ - მაჩვენებელთა დიფერენციაციის კოეფიციენტი ანუ ხარისხობრივი მაჩვენებელი;

x_i - მაჩვენებლის საერთო ჯამისადმი ათწილადობით გამოსახული i -ური ვარიანტის ნაზარდი ჯამია (ამასთან პირველ ვარიანტად მიჩნეულია 0);

f_i - i -ური ვარიანტის წონა (სიხშირე) კოეფიციენტის სახის საერთო ჯამისადმი.

$$\text{ჩვენს მაგალითზე: } x_i = 1; 0.03; 0.11; 0.25; 0.44; 0.70; 1.0$$

$$f_i = 0.30; 0.32; 0.20; 0.10; 0.05; 0.03$$

თუ მოცემულ მაჩვენებლებს ჩავსვამთ ჩვენს მიერ მიღებულ ფორმულაში, გვექნება:

$$K_{\text{ლიფ}} = 1 - [(0 + 0.03) \cdot 0.03 + (0.03 + 0.11) \cdot 0.32 + (0.11 + 0.2) \cdot 0.20 + (0.25 + 0.44) \cdot 0.10 + (0.44 + 0.70) \cdot 0.05 + (0.70 + 1.0) \cdot 0.03] = 1 - (0.03 \cdot 0.03 + 0.14 \cdot 0.32 + 0.36 \cdot 0.20 + 0.69 \cdot 0.10 + 1.14 \cdot 0.05 + 1.70 \cdot 0.03) = 1 - 0.303 = 0.697$$

ანუ 69,7%

ანუ მარტივად მიიღება ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულით დიფერენციაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ასეთი მახასიათებლით შეიძლება გაიზომოს მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა დიფერენციაციის ხარისხი, სადაც კი გვაქვს ინფორმაცია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვით (ამა თუ იმ ეკონომიკური კატეგორიის შემოსავლები, დანახარჯები და სხვა). ზოგჯერ მოცემულია მოსახლეობის დეცილური და კვარტილური ჯგუფების მიხედვით დანახარჯები, შემოსავლები და ა.შ. თუ მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა შემოსავლების, დანახარჯებისა და სხვა მაჩვენებ-

ლების ზრდის ან კლების ნიშნებითაა დალაგებული, მაშინ ამათგან ოთხი ტოლი ნაწილის გამოყოფა წარმოქმნის კვარტილურ, ათი ტოლი ნაწილის გამოყოფა დეცილურს, ხოლო ასი ტოლი ნაწილის გამოყოფა პერცენტილურ ჯგუფებს. ცხადია, ასეთი ჯგუფები გვიჩვენებს ხარჯებისა და შემოსავლების ცვალებადობას მოსახლეობის უღარიბესი, საშუალო და უმდიდრესი ფენების მიხედვით. აქაც კვარტალური და დეცილური კოეფიციენტების გაანგარიშებასთან ერთად საჭიროა დიფერენციაციის საშუალო მაჩვენებლების დადგენაც, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავასწავლოთ მაჩვენებელთა დიფერენციაციის ხარისხი და შევიშუშაოთ ოპტიმალური სოციალური პოლიტიკა. იმის გამო, რომ ხშირადობა კვარტალური ჯგუფებისთვის $f_1 = f_2 = \dots = f = 0.25$, დეცილურში ჯგუფებისთვის, აგრეთვე $f_1 = f_2 = \dots = f = 0.10$; ჩვენს მიერ შემოთავაზებული დიფერენციაციის გასაანგარიშებელი ფორმულა მიიღებს სახეს: კვარტალური ჯგუფებისთვის:

$$K_{\text{ლიფ}} = 1 - 0.25 \sum_{i=1}^n (x_{i-1} + x_i)$$

დეცილური ჯგუფებისთვის:

$$K_{\text{ლიფ}} = 1 - 0.10 \sum_{i=1}^n (x_{i-1} + x_i)$$

საქართველოში ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიურმა ხარჯებმა 1996 წლის მეორე ნახევრისა და 1997 წლის პირველი ნახევრის 12 თვეში შეადგინა საშუალოდ 221 ლარი, მათ შორის უღარიბეს ფენაში 64, ხოლო უმდიდრეს ფენაში 664 ლარი, ხარჯებში აღირიცხება სამომხმარებლო ხარჯები (სურათზე-45,1%, სასმელზე-0,7%, თამბაქოზე-1,4%, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე-4,3%. საოჯახო მოხმარების საქონელზე-6,9%, სამედიცინო მომსახურებაზე-3%, ენერჯიაზე-4,8%, ტრანსპორტზე-3,8%, განათლებაზე-1,7%) სულ 72%. სხვა გასავლები (სასოფლო-სამეურნეო ხარჯები, ხარჯები გაჩუქებაზე, დაზოგვასა და გასესხებაზე)-3,5%, არაფულადი ხარჯები-2,4,5%.

დეცილური მოსახლეობის მიხედვით, ხარჯების განაწილება ასეთ სურათს იძლევა:¹

საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურა დეცილური ჯგუფების მიხედვით 1996 წლის მეორე ნახევრის ადა 1997 წლის პირველი ნახევრის 12 თვეში.

დეცილური ჯგუფების ნაზარდი ჯამების საფუძველზე დიფერენციაციის კოეფიციენტები შეგვიძლია ჩვენს მიერ ზემოთ შემოთავაზებული ფორმულის დახმარებითაც გავიანგარიშოთ ხარჯების ცალკეული მუხლების მიხედვით. მაგალითად, სულ მთელი ხარჯების დიფერენციაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი მიიღებს ასეთ რაოდენობრივ გამოსახულებას:

ხარჯების დასახელება	საქ-სულ (კოეფ. ანუ 100%)	აქედან დეცილური ჯგუფების მიხედვით									
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სამომხმ. ხარჯი	1,0	0,01	0,02	0,02	0,03	0,05	0,06	0,01	0,03	0,17	0,35
სურსათზე	1,0	0,01	0,02	0,02	0,03	0,05	0,07	0,01	0,16	0,17	0,33
სასმელზე	1,0	0,01	0,01	0,01	0,01	0,02	0,03	0,07	0,10	0,19	0,52
თამბაქოზე	1,0	0,01	0,02	0,02	0,02	0,04	0,07	0,01	0,15	0,18	0,34
ტანს. და ფეხს.	1,0	0,01	0,02	0,02	0,02	0,04	0,06	0,01	0,13	0,18	0,37
საოჯ. მომხმ. საქონ.	1,0	0,01	0,02	0,02	0,03	0,04	0,05	0,09	0,11	0,15	0,44
სამედ. მომსახ.	1,0	0,01	0,03	0,03	0,03	0,05	0,06	0,08	0,11	0,14	0,43
ენერჯიაზე	1,0	0,01	0,03	0,03	0,04	0,05	0,07	0,10	0,13	0,17	0,32
ტრანსპორტზე	1,0	0,01	0,02	0,02	0,03	0,04	0,05	0,09	0,12	0,17	0,41
განათლება	1,0	0,01	0,01	0,01	0,02	0,03	0,05	0,09	0,13	0,21	0,40
სხვა სამომხმ. ხარჯები	1,0	0,01	0,01	0,01	0,02	0,02	0,04	0,07	0,10	0,18	0,51
ხარჯ. გაჩუქებაზე	1,0	0,01	0,01	0,01	0,03	0,03	0,06	0,10	0,13	0,15	0,41
დაზოგ. და გასესხ.	1,0	0,01	0,01	0,01	0,02	0,02	0,03	0,06	0,09	0,15	0,57
ფულად ხარჯ.	1,0	0,01	0,02	0,02	0,03	0,04	0,06	0,10	0,13	0,17	0,36
არაფულად. ხარჯ.	1,0	0,08	0,09	0,09	0,09	0,10	0,09	0,09	0,13	0,09	0,13
სულ ხარჯ.	1,0	0,03	0,04	0,04	0,05	0,06	0,07	0,09	0,13	0,15	0,30

¹ხარჯების სტრუქტურა საერთო ჯამის მიმართ მოცემული კოეფიციენტების ანუ ხშირადობის სახით, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ შესაბამის პროცენტულ განაწილებაზედაც

$$K_{\text{ფიქს}} = 1 - 0.10 \cdot [(0 + 0.03) + (0.03 + 0.07) + (0.07 + 0.12) + (0.12 + 0.18) + (0.18 + 0.25) + (0.25 + 0.33) + (0.33 + 0.42) + (0.42 + 0.55) + (0.55 + 0.70) + (0.70 + 1.0)] = 1 - 0.10 \cdot 6.3 = 1 - 0.63 = 0.37$$

ანუ 37%

ასეთივე წესით შეიძლება გავიანგარიშოთ დიფერენციაციის კოეფიციენტები ცალკეული ხარჯების მიხედვით. როგორც ჩანს, განსხვავებანი მოსახლეობის ცალკეულ თვიურ დანახარჯებში ძალიან მაღალია. ამაზე იმიც მეტყველებს, რომ დეცილური კოეფიციენტები, ანუ შეფარდება მდიდართა და უღარიბესთა თვიურ დანახარჯებს შორის მერყეობს 10-დან 57-მდე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დეცილური კოეფიციენტები საბაზრო ეკონომიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად გადიდება, რაც უმჯობრესთა და უღარიბესთა შორის ცხოვრების ღონის დიდი განსხვავებით იქნება გამოწვეული, ხოლო შემცირება საშუალო დიფერენციაციის ხარისხობრივი კოეფიციენტები, რაც ყოველ ორ მომიჯნავე ჯგუფთან შორის ცხოვრების ღონის დაახლოებით იქნება ნაკარნახევი.

4. ბიუჯეტის დეფიციტის (პროფიციტის) სტატისტიკური შესწავლა

ბიუჯეტის დეფიციტი ან პროფიციტი მიიღება შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთშედარებით. თუ შემოსავლები აჭარბებს ხარჯებს, მაშინ საქმე გვაქვს პროფიციტთან ანუ ეკონომიკის ზრდასა და აღმავლობასთან, რაც მონაწილეობას ცხოვრების ღონის აღმავლობის საფუძველია, ხოლო თუ პირიქითაა (ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს), მაშინ საქმე გვაქვს დეფიციტთან, რაც ეკონომიკის განუვითარებასა¹ და მოსახლეობის ცხოვრების ღონის დაქვეითებაზე მი-

¹ბიუჯეტის დეფიციტი ყოველთვის არაა უარყოფითი მაჩვენებელი. მრავალ განვითარებულ ქვეყანაშიც კი ბიუჯეტი ზოგჯერ დეფიციტურია, რაც მხოლოდ მაშინ ხდება საგანგაშო, როცა ძნელია ბიუჯეტის დაბალანსება და დეფიციტის დაძლევა ეკონომიკისა და ქვეყნისთვის საზიანო გზებით წარიმართება

ანიშნებს. ბიუჯეტის დეფიციტი დასაშვებად ითვლება თუ მისი მოცულობა არ აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის 5-6%-ს. ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა სხვადასხვა გზებით მიიღწევა. მათ შორის გამოიყოფა:

1. წარმოების განვითარება და ფინანსური სტაბილურობის შექმნა;
2. უცხოური კაპიტალის მოზიდვა;
- 37 ფულის ემისია (დამატებითი ფულადი ნიშნების გამოშვება);
4. გადასახადების გადიდება;
5. ხარჯების შემცირება.

ამათგან ზოგიერთი მხოლოდ იძულებითი ღონისძიებაა, იმდენად, რამდენადაც არასასურველ ეკონომიკურ შედეგებს იძლევა. მაგალითად, ფულის ემისია მოქმედებს ვალუტის კურსზე და შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური პროცესები, ან კიდევ-გადასახადების გადიდებამ შეიძლება საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვიოს და ა.შ. ყველაზე მისაღებია ეკონომიკის აღმავლობისადმი ყოველნაირი ზომების გატარება და უნაყოფო ხარჯების შემცირება. ბიუჯეტის გეგმის შეუსრულებლობისა და შემოსავლების უკმარისობის პირობებში უნდა ამოქმედდეს ბიუჯეტის გასავლების სეკვესტრის მექანიზმი, რაც გულისხმობს საბიუჯეტო დანახარჯების პროპორციულ შემცირებას ყოველთვიურად საფინანსო წლის ბოლომდე. ცხადია, ბიუჯეტის სეკვესტრი ყველა ხარჯს უნდა შეეხოს, მაგრამ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ასეთი ჩამოჭრა არ ენება ე.წ. დაცულ მუხლებს (ხელფასი, პენსია, სტიპენდია და ზოგიერთი სხვა სოციალური დაცვის დანახარჯები).

საქართველოს ბიუჯეტი 1996-2008 წლებში დეფიციტური იყო, რაზედაც, აგრეთვე მისი დაფარვის წყაროებზე შემდეგი მონაცემები მეტყველებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი
(მლნ ლარი) 1996-1998 წწ.

მაჩვენებლები	1996წ.	1997წ.	1998წ.
დეფიციტი სულ	256,8	225,2	177,8
დაფარვის წყაროები			
ადგილობრივი მათ შორის:	201,0	121,8	110,8
საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტი	185,9	116,0	120,0
სახაზინო ვალდებულებები	0,0	5,8	9,5
სხვა წყაროები	15,1	0,0	0,0
საგარეო	70,3	103,4	67,0
მსოფლიო ბანკის კრედიტი	55,80	101,90	67,00
სხვა წყაროები	0,00	1,50	0,00

მნიშვნელოვანი ნაწილი ბიუჯეტის დეფიციტისა საქართველოში 1998 წელს მოდიოდა საგარეო ვალდებულების მომსახურებაზე (მხოლოდ პროცენტების დასაფარავად). სულ ამ წელს ამისთვის ბიუჯეტში გამოყოფილი იყო 46,9 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის ხარჯების 5,9%-ია და აღემატება ჯანდაცვის, გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვის, მშენებლობისა და ენერგეტიკის ხარჯებს ერთად აღებულს. ეს ნიშნავს, რომ მომავალში საქართველოს ბიუჯეტის გასაველებში საგარეო ვალდებულების (1999 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ეს ვალი 1811,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა) მომსახურების ხარჯები წლით-წლით გაიზრდება.

ფისკალური სტატიისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა შეისწავლოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ან პროფიციტის მოცულობა, სტრუქტურა სხვადასხვა ნიშნებით, ასევე დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. ეს უკანასკნელი შეიძლება განხორციელდეს ისეთივე მეთოდოლოგიით, როგორც ჩვენ ვაჩვენებთ საბიუჯეტო შემოსავლებისა და დანახარჯების მიმართ.

თემა 4. საგადასახადო სტატიისტიკა

1. გადასახადების ცნება და სახეობანი

სტატიისტიკა გადასახადების ცნებისა და სახეობის გარკვევისას ეყრდნობა ისეთ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს, როგორცაა ეკონომიკური თეორია. ეკონომიკური თეორიის განმარტებით, გადასახადი სავალდებულო მოსაკრებელია, რომელსაუ მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილებისა და გადანაწილების გზით ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირები უზღიან სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით.¹ იურიდიული და ფიზიკური პირებია საწარმოები, ფირმები, ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომლებიც ეწევიან ამა თუ იმ სახის საქმიანობას. როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსშია აღნიშნული² საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, რომლებიც ამოიღება ცენტრალური საგადასახადო ორგანოების მიერ და ავსებს ფედერალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. ასეთია საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, მიწის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი, გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, გადასახადები ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისთვის. **ადგილობრივი გადასახადი**, რომელიც ამოიღება ადგილობრივი ორგა-

¹იხ. ეკონომიკური თეორია, სახელმძღვანელო, საგამომცემლო ფირმა „სიანლე“, თბ. 1998 წ. გვ. 39

ლ. ჩიქავა ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, საგამომცემლო ფირმა „სიანლე“, თბ. 1997 წ. გვ. 344

²იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 18-19

ნობის მიერ და ავსებს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. ასეთია გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისთვის, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საკურორტო გადასახადი, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის. გადასახადის თითოეული სახეობა ხასიათდება სამი ძირითადი პარამეტრით: გადასახადის გადამხდელები, დაბეგვრის ობიექტი და საგადასახადო განაკვეთები. ამ პარამეტრებს მათი დიდი მნიშვნელობის გამო სტატისტიკურ გაანგებებებში, ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. ამ საკითხთან დაკავშირებით კი საჭიროა განვიხილოთ გადასახადების კლასიფიკაცია და სტატისტიკის ამოცანები.

ეკონომიკური თეორია გადასახადების კლასიფიკაციას აწარმოებს სხვადასხვა ნიშნებით. მათ შორის გამოიყოფა: პირდაპირი, რომლითაც უშუალოდ, პირდაპირ იბეგრება გადამხდელის შემოსავალი და ქონება (საშემოსავლო გადასახადი, მიწის გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ეკოლოგიური გადასახადი და სხვ.), არაპირდაპირი, რომელიც წესდება საქვანლის ფასზე, აგრეთვე მომსახურების ტარიფზე წანამატის სახით და რომლის უშუალო გადამხდელია მომხმარებელი. მაგრამ ვინაიდან ის ფასში შედის, ბიუჯეტში გადაიხდება გამყიდველის მიერ (დამატებული ღირებულების გადასახადი, სააქციზო გადასახადი, საბაჟო გადასახადი, საქმიანი მონოპოლიურ სახეებზე გადასახადი და სხვ.).

გამოყენების ნიშნით გადასახადები ორი სახისაა: საერთო (თავს იყრის ერთიან სახელმწიფო ხაზინაში და გამოიყენება საერთო მინიშნების დასაფინანსებლად) და სპეციალური (სოციალური დაზღვევის თანხა, საგზაო ფონდი, სოციალური ფონდი და სხვ.), რომლის თანხები მიზნობრივია და გამოიყენება მხოლოდ სპეციალური დანიშნულებით.

საგადამხდელო განაკვეთების მიხედვით, შეიძლება გვქონდეს ფიქსირებული (დაბეგვრის ერთეულზე დაწესებულია მყარი, ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთი, რომელიც

არ იცვლება დაბეგვრის ობიექტის ცვალებადობასთან დაკავშირებით) პროგრესული (პროგრესულად იზრდება საგადასახადო განაკვეთები) და რეგრესიული (დაბეგვრის ობიექტის გადიდებასთან ერთად კი არ დიდდება, არამედ მცირდება საგადასახადო გადასახადები.

საგადასახადო სტატისტიკის ამოცანებია გადასახადების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკის, გადასახადებზე მოქმედი ფაქტორების სტატისტიკური შესწავლა და პროგნოზირება.

2. საგადასახადო სტატისტიკის ამოსავალი ბაზების (პარამეტრებით) შესწავლა

საგადასახადო სტატისტიკის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელია გადასახადების ამოსავალი ბაზის შესწავლა, რასაც საფინანსო-საგადასახადო მეცნიერება იძლევა. ასეთია გადასახადის გადამხდელები, დაბეგვრის ობიექტი და საგადასახადო განაკვეთები. მართლაც, შეუძლებელია საგადასახადო სტატისტიკამ შეისწავლოს გადასახადების მოცულობა, სტრუქტურა სხვადასხვა ნიშნების მიხედვით და მათ შორის გადამხდელების მიხედვითაც, ან კიდევ გადასახადების დინამიკა, ზემოთ აღნიშნულში პარამეტრების ცოდნის გარეშე.

როგორც საქართველოს საგადასახადო მოქმედი კოდექსითაა დაფიქსირებული **საშემოსავლო** გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

იგივე კოდექსით (იხ. კოდექსი, გვ. 31, 32) განმარტებულია, პრემ „რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 182 დღეზე მეტ ხანს ნებისმიერ 12-თვიან პერიოდში, რომელიც მთავრდება საგადასახადო წელს, ან იგი საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფება უცხოეთში საქარ-

თველოს სახელმწიფო სამსახურში“. ამავე საგადასახადო კოდექსით განმარტებულია, რომ საქართველოში ყოფნის დღედ ითვლება დღე, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად ამ ყოფნის ხანგრძლივობისა. ფიზიკურ პირს არ მიეკუთვნება დიპლომატიური სტატუსის მქონენი და მათი ოჯახის წევრები, უცხო ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები (საქართველოს მოქალაქეების გარდა), საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ერთი სახელმწიფოდან მეორეში გამვლელი პირი. არარეზიდენტი არის პირი, რომელიც არ არის საქართველოს რეზიდენტი.

საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტად, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მიჩნეულია შემოსავალი, რომელიც მიიღება ერთობლივ (მთლიან) შემოსავლებსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვებს შორის სხვაობით.

მთლიანი შემოსავლები რეზიდენტისთვის მოიცავს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიღებულ შემოსავლებს, ხოლო არარეზიდენტისთვის საქართველოს წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებს. მათ მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, მათ შორის ხელფასი, პრემია, სამეწარმეო საქმიანობით საქონლის რეალიზაციიდან ან მომსახურების, სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციის, აგრეთვე არასამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები (დივიდენდები, პროცენტებით მიღებული შემოსავლები, ქონების იჯარით გაცემის, ვალების ჩამოწერით და სხვა შემოსავლები ყოველთვიური და უბეგრავი მინიმუმის (9 ლარი) ჯამის, წინათ დაბეგრილი დივიდენდებისა და პროცენტების შემოსავლის გამოკლებით.

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები¹:

კალენდარული წლის განმავლობაში მთლიანი დასაბეგრავი შემოსავლის მოცულობა	გადასახადის განაკვეთი	%-ობით
200 ლარამდე		0,12
201-დან 350 ლარამდე	24 ლარს+200 ლარზე ზევით არსებული თანხის 15 %	
351-ლარიდან 600 ლ.-მდე	46,5 ლარს+350 ლარზე ზევით არსებული თანხის 17 %	
601 და მეტი ლარი	89 ლარს+600 ლარზე ზევით არსებული თანხის 20 %	

საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფალია უცხოეთის დიპლომატის ან საკონსულოს თანამშრომლის დაქირავებული შრომის შედეგად მიღებული შემოსავალი, გრანტი, სახელმწიფო პენსია, მემკვიდრეობაზე მიღებული ქონების, რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, ალიმენტი და სხვ.

მოგების გადასახადის გადამხდელებია საქართველოსა და უცხოური საწარმოები. დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც განისაზღვრება გადამხდელის მთლიან შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის სხვაობით (გარდა აქტივების ღირებულებისა, რომელშიაც შეიტანება ძირითადი საშუალებების შეძენის, დამონტაჟებისა და სხვა კაპიტალური ხარჯები, აგრეთვე, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ღყაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან: ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისთვის გაწეული ხარჯები, მათ შორის ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, გართობაზე გაწეული ხარჯები ფინანსთა სამინისტროს ნორმის ზევით და ა.შ.). აქ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილი არ გამოიქვითება მთლიანი შემოსავლიდან ამორტიზაციის სახით. პირიქით, ამორტიზაციის ღირებულება მთლიანი ღირებულებიდან გამოიქვითება ნორმატიული პროცენტების

¹იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 59.

სახით. ამასთან, ამორტიზაცია არ დაერიცხება არაამორტიზირებად საშუალებებს, როგორცაა მიწა, ხელოვნების ნიმუშები და სხვ.

ამორტიზაციის ნორმები ასეთია:

ჯგ №№	ქონება	ამორტიზაციის ნორმა %
1.	მსუბუქი ავტომობილები, ავტოსატრანსპორტო ტექნიკა ვზებზე გამოსაყენებლად, სპეციალური ინსტრუმენტები, ინვენტარი და მოწყობილობები, კორმპიუტერები, მონაცემთა დამუშავების პერიფერიული მოწყობილობები და აღჭურვილობა. 20	20
2.	საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა, სატვირთო ავტომობილები, ავტობუსები, სპეციალური ავტომობილები და ავტომისაბმელები, მანქანები და მოწყობილობა მრეწველობის ყველა დარგისთვის, სამსხმელო წარმოებისთვის, სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა, ელექტრონული მოწყობილობა, სამშენებლო მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა, ავეჯი ოფისისთვის 15	15
3.	სარკინიგზო საზღვაო და სამდინარო-სატრანსპორტო საშუალებები, ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა, თბოტექნიკური მოწყობილობა, ტურბინული მოწყობილობა, ელექტროძრავები და დიზელგენერატორები, ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობები, მილსადენები 8	8
4.	შენობები, ნაგებობები 7	7
5.	ამორტიზირებადი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფში	10

ძირითადი აქტივების ღირებულება მოცემულ წელს, საიდანაც იანგარიშება ამორტიზაციის წლიური თანხა, განისაზღვრება გასული წლის ბოლოსთვის აქტივების ღირებულების მიხედვით. ამასთან, საამორტიზაციო ანარიცხების განგარიშებისთვის ეს უკანასკნელი მცირდება გასულ წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხით, და იმ ძირითადი საშუალებების ღირებულებით, რაც 100 ლარზე ნაკლებია, აგრეთვე საკლასიფიკაციო ჯგუფის საბალანსო ღირებულებით, რომელიც მთლიანად რეალიზებული ან ლიკვიდირებულია.

საწარმოს მოგების გადასახადი, რომგორც არაპირდაპირი

გადასახადი, არის „საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი“. დამატებული ღირებულების გადასახადი საქართველოში 1992 წლიდან დაინერგა (1958 წელს პირველად ფრანგებმა შემოიღეს და შემდეგ სწრაფად გავრცელდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში).

ეკონომიკური სტატისტიკის განმარტებით დამატებული ღირებულება არის „... წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებასა და წარმოების პროცესში მთლიანად მოხმარებული საქონლისა და მომსახურების (შუალედური მოხმარება) ღირებულებათა შორის სხვაობა“.

ამასთან წარმოებული საქონლისა და გაწეულ მომსახურების ღირებულებაში შეიტანება:

ა) ყველა სახის საქონელი მათი გამოყენების მიუხედავად, მათ შორის სხვა მომხმარებლებისადმი მიწოდებული, ასევე თვით მწარმოებლის მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარების, აგრეთვე დაგროვებისა და მატერიალური საშუალებების მარაგთა შევსებისთვის განკუთვნილი;

ბ) სხვა ინსტიტუციონალური ერთეულებისთვის, კერძოდ, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და კომერციული ორგანიზაციებისთვის გაწეული არასაბაზრო მომსახურება;

გ) შინამოსამსახურეთა მიერ ანაზღაურებადი მომსახურება (ოჯახის წევრების მიერ ურთიერთარაანაზღაურებადი) მომსახურება, როგორცაა სარეცხის რეცხვა, კერძების მომზადება და სხვ. არ შეიტანება პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულებაში).

¹იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 105

²Экономическая статистика, учебник, М. ИНФРА, М. 1999 г. стрю 164

ეკონომიკური სტატისტიკა მიუთითებს, აგრეთვე, შევიდეს წარმოების მოცულობაში ჩრდილოვანი ეკონომიკის (არაკანონიერი), აგრეთვე კანონიერი, მაგრამ გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით მალული ეკონომიკის (მალული წარმოება) მიერ წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების ღირებულებაც¹.

შუალედური მოხმარება, რომელიც გამოიყენება დამატებული ღირებულების გასაანგარიშებლად, არის საქონლისა და საბაზრო მომსახურების ღირებულება (ძირითადი ფონდების გამოკლებით), რომელიც მოცემულ პერიოდში გამოიყენებულ იქნა სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად. ის მოიცავს:

ა) შრომის საგნებს (ნედლეულსა და ძირითად მასალებს), ელექტროენერგიას, სათბობს, თესლს, საკვებს, საკუთარი წარმოებისა და ნაყიდ ნახევარფაბრიკატებს, მედიკამენტებს, კვების პროდუქტებს, სპეცტანსაცმელს, საკანცელარიო საგნებს და ა.შ.

ბ) სხვა საწარმოებისა და პირების მიერ შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების ანაზღაურება (ტრანსპორტით მომსახურება, რემონტი, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ცენტრების მომსახურება, კომუნალური მომსახურება, კონსულტანტების, იურისტების, ბანკების, რეკლამისა და სხვათა მომსახურება და ა.შ.);

გ) სამივლინებო თანხების ანაზღაურება.

აქედან ცხადია, რომ დამატებული ღირებულების გადამხდელებად ითვლება ყველა ის პიროვნება, ვინც ეწევა რაიმე სახის საქმიანობას, რომელსაც მოაქვს შესაბამისი ღირებულება, ხოლო დაბეგვის ობიექტიდან უნდა მივიჩნიოთ არა „დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი“, როგორც ეს საქართველოს საგადასახადო კოდექსშია აღნიშნული², არამედ დამატებული ღირებულება და იმპორტი, რომელიც წარ-

¹იხ. Экономическая статистика, учебник, М. ИНФРА, М. 1999 г. стрю 164

²იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. III

მოიშობა შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობით!

დამატებული ღირებულების საგადასახადო განაკვეთები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. როგორც პროფესორი ლ. ჩიქავა მიუთითებს „... განაკვეთები მეტწილ ქვეყნებში მერყეობს 20-30%-ის, გფრ-ში - დაახლოებით 6%-ს, შვედეთში - 7%-ს, საფრანგეთში - 8%-ს, საქართველოში თავიდან 28%-ს შეადგენდა, შემდეგში 14%-მდე დავიდა, ამჟამად 29%-ია“.

აქციზი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი წესდება ისეთი მასობრივი მოხმარებისა და განუსაზღვრელი რაოდენობით რეალიზებად პროდუქტებზე, როგორცაა შაქარი, ჩაი, მარილი, ბენზინი, ასანთი, თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები. აქციზით სახელმწიფო ანხორციელებს ოპტიმალურ-ფისკალურ პოლიტიკას, ზოგჯერ ზღუდავს ზოგიერთი საქონლის მოხმარებას და ხელს უწყობს ანტიმონოპოლური კანონის ქმედითუნარიანობას. ზოგიერთ ქვეყანაში აქციზზე მოდის საგადასახადო შემოსავლების 20-25%. საქართველოში აქციზური გადასახადი არც თუ დიდი ხნის წინათაა შემოღებული, თუმცა მისი მოქმედების არეალი თანდათანობით ფართოვდება.

აქციზის გადამხდელებია აქციზური საქონლის მწარმოებლები ან იმპორტიორები საქართველოში. აქციზით დაბეგვის ობიექტია აქციზური საქონლის მიწოდება საქართველოში ან საწყობიდან გატანა (მათ შორის დამკვეთის ნედლეულით დამზადებული) ან იმპორტი უცხოეთიდან.

აქციზის საგადასახადო განაკვეთები წესდება როგორც ინდივიდუალური წესით, მტკიცე ოდენობით საქონლის ერთეულზე, ისე უნივერსალური ანუ პროცენტობით საქონლის

¹მოქმედი საგადასახადო კოდექსი არა მარტო შინაარსითაა დასავმობი, არამედ ფორმითაც. ის ამკარაა, რომ არის უცხოური შესაბამისი დოკუმენტის სრულიად უშინაარსო დამახინჯებული თარგმანი, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა კარგი ქართული ორიგინალის შექმნა

²ლ. ჩიქავა, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, საგამომცემლო ფირმა „სიანლე“, თბ. 1997 წ. გვ. 153-154

ღირებულებისადმი. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსით, მაგაშლითად, მსუბუქი ავტომობილებისადმი დაწესებულია 15%-იანი აქციზი, ხოლო ყურძნის 1 ლიტრა ღვინოზე ფიქსირებული 50 თეთრი და ხილის 1 ლიტრაზე / 2 ლარი.

გადასახადო ერთ-ერთი სახეობაა ქონების გადასახადი. ის ორი სახისაა: ფიზიკური პირების ქონების გადასახადი და საწარმოთა ქონების გადასახადი. ფიზიკური პირების ქონების გადასახადის გადამხდელებია ქონების გადასახადით დასაბეგრავი ობიექტების მესაკუთრე ფიზიკური პირები, დაბეგვრის ობიექტი საქართველოს ურბანულ ტერიტორიაზე არსებული, ხოლო არაურბანულ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ისეთი უძრავი ქონება (მიწის გარდა), როგორცაა შენობა-ნაგებობანი ან მათი ნაწილები, ხოლო საგადასახადო განაკვეთია მათი საბუღალტრო ღირებულების 0,1 პროცენტი.

საწარმოთა ქონების გადასახადის გადამხდელებია საწარმოების (მათ შორის სამამულო და უცხოური, აგრეთვე მათი დამოუკიდებელ ანგარიშზე იყოფი და ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშის მქონე ფილიალები და ორგანიზაციები, რომელთა ქონების ნაწილი გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის. საწარმოთა ქონების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია საწარმოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობა, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდები და არამატერიალური აქციზები. დასაბეგრავი ღირებულება გაიანგარიშება ჩამოთვლილი აქტივების ნარჩენი საშუალო წლიური ღირებულების 1-პროცენტის განაკვეთით.

სახელმწიფო გადასახადთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია *მიწის* გადასახადი. მისი გადამხდელებია მიწის საკუთრებაში ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირები, ხოლო დაბეგვრის ობიექტია, როგორც სასოფლო-სამეურნეო ისე არასასოფლო-

სამეურნეო მიწები. სასოფლო-სამეურნეო მიწები კლასიფიცირებულია სხვადასხვა ნიშნებით. მათ შორის გამოიყოფა:

- ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;
- ბ) გამოსაყენებლად ნებადართული წყლისა და ტყის ფონდის მიწები;
- გ) საკარმიდამო, საბოსტნე, საბალე და სააგარაკო ნაკვეთები და სხვ.

მიწის გადასახადის განაკვეთი ღვინდება 1 ჰა-ზე ლარებში, ფიქსირებული წესით და დიფერენცირებულია ადმინისტრაციული რაიონებისა და კარგი და ცუდი მიწების მიხედვით. მათ შორის გამოიყოფა, აგრეთვე, სათიბები და საძოვრები.

ამჟამად საქართველოს ყველა რაიონი მიწების ერთგვაროვნების ნიშნით 18 ჯგუფადაა დაყოფილი. ყველაზე მაღალნაყოფიერებით თბილისი და მარნეული გამოირჩევა (სადაც კარგ მიწებზე 44 ლარია წელიწადში ერთი ჰექტარიდან გადასახადი, ხოლო მწირ მიწებზე / 24 ლარი), ხოლო ყველაზე დაბალნაყოფიერებით მესტიის, ყაზბეგისა და ჯავის რაიონები, სადაც კარგ მიწებზე წლიური გადასახადია 10 ლარი 1 ჰა-დან, ხოლო მწირ მიწებზე 6 ლარი.

მიწის გადასახადი დიფერენცირებულია, აგრეთვე, საძოვრებისა და სათიბებზე რაიონების მიხედვით. ამ მხრივ საქართველოს ყველა რაიონი დაყოფილია სამ ჯგუფად, საგადასახადო განაკვეთი მერყეობს სათიბებზე 2 ლარიდან 1 ჰა-ზე 4 ლარამდე, მათ შორის გაკულტურებულ სათიბებზე 3 ლარიდან 6 ლარამდე, საძოვრებზე საგადასახადო წლიური განაკვეთი მერყეობს 1 ჰა-ზე 1-2 ლარის ფარგლებში, ხოლო გაკულტურებულ საძოვრებზე 1,5 ლარიდან 3 ლარამდე.

ავტოსატრანსპორტი საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადის გადამხდელია თვით ამ საშუალების მესაკუთრე პირი, დაბეგვრის ობიექტია აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება (მსუბუქი ავტომობილები, ავტობუს-

სები სხვადასხვა ადგილებით, სხვადასხვა ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები), ხოლო საგადასახადო განაკვეთი ფიქსირებულია 1 ცხენის ძალაზე ლარობით და დიფერენცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სახეობებისა და სიმძლავრის მიხედვით. მაგალითად, მსუბუქი ავტომობილებისთვის საქართველოში ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ის შეადგენს 0,25 ლარს სიმძლავრის (ცხენის ძალაზე, ხოლო 40 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილებზე 4 ლარს სიმძლავრის 1 ცხენის ძალაზე.

გადასახადი *ქონების გადაცემისთვის* სამი სახეობისაა: გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისთვის, გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისთვის და გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადაცემისთვის.

უძრავი ქონების გადაცემისთვის გადასახადის გადამხდელია უძრავი ქონების მიმღები, დაბეგვრის ობიექტი / უძრავი ქონება, რომელიც გადაეცემა საკუთრების უფლებით, იჯარით ან გაქირავებით, ხოლო საგადასახადო განაკვეთით შეადგენს დასაბეგრავი თანხის 2%-ს.

მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადის გადამხდელია ის პირი, რომელმაც ფიზიკური პირისგან მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიიღო ნებისმიერი ქონება. დაბეგვრის ობიექტია მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, ხოლო საგადასახადო განაკვეთია ქონების ღირებულების 30% იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეები.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადაცემისთვის გადასახადის გადამხდელია ის პირი, რომელმაც მიიღო ეს საშუალება, დაბეგვრის ობიექტი - თვით ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გადასახადის განაკვეთი მისი ღირებულების 2%.

სოციალური გადასახადი, როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსშია აღნიშნული, განკუთვნილია „სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების ერთიანი სა-

ხელმწიფო ფონდის ფორმირებისთვის, რომელსაც გადასახადის გადამხდლები იხდიან შრომის ანაზღაურებისა და მასთან გათანაბრებულ თანხებზე“¹.

ასეთი სახის გადასახადის გადამხდელია დამქირავებელი მეწარმე, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შრომას უნაზღაურებენ დაქირავებულებს და თვით დაქირავებული პირები, დასაბეგრავი ობიექტია მეწარმესა და რაიმე საქონლის მქონე შემოსავალი და დაქირავებულების ხელფასი. გადასახადის განაკვეთებია სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში დასაბეგრავი თანხის 27%, ხოლო დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში - 1%.

გადასახადი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოღებულია საქართველოს ბუნებრივი რესურსების დაცვის, აგრეთვე კვლავწარმოების საფინანსო უზრუნველყოფისა და რაციონალური სარგებლობის მიზნებისთვის.

გადასახადის გადამხდლებია ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება ლიცენზირებას ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის“².

დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე გარემოდან ამოღებული რესურსების (მერქნის, წყლის, სასარგებლო წიაღისეულისა და სხვა) მოცულობა. გადასახადის განაკვეთები დაწესებულია ცალკეული სახეობის რესურსების მიმართ ზღვრული ოდენობით. მაგალითად: საქართველოს საგადასახადო მოქმედი კოდექსით ეს განაკვეთები განსაზღვრულია ცალ-ცალკე წიაღისეულისთვის (პროცენტობით მოპოვებული წიაღისეულის ერთეულის ფასის მიმართ: მაგალითად: ნავთობისა და გაზის მიმართ 5-10%, ნახშირის მიმართ 2-5% და ა.შ.), ხე-ტყის მასალებისა და წყლის რესურსების მიმართ (პროცენტობით 1 კუბ.მ. საბაზრო ფასის მიმართ) და ცხოველთა სამყაროს რესურსების მიმართ (ძუ-

¹იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 191

²იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 197

ბუმწოვართა და ფრინველებისთვის ერთ ინდივიდზე, ხოლო თევზებისა და წყლის ცხოველებისთვის ერთ ტონაზე საბაზრო ფასის პროცენტობით).

გადასახადი მავნე ნივთიერებით გარემოს დაბინძურებისთვის დაწესებულია სამეწარმეო ან სხვა სახის, საქმიანობის პირთათვის, რომლებსაუ გაუფრთხილებლობით შეუძლია გარემო დააბინძურონ და დიდი ზიანი მიაყენონ საზოგადოებას. გადასახადის გადამხდელებია ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც გააჩნიათ დაბინძურების სტაციონალური ან მოძრავი (ბენზინისა და ღებლის საწვავის) წყაროები.

დაბეგვრის ობიექტებია ატმოსფეროში გამოფრქვეული ან წყალში ჩაღვრილი მავნე ნივთიერებათა მასა და მოძრავი წყაროების მიერ საცალოდ რეალიზებული ბენზინის ან ღებლის საწვავის მოცულობა.

გადასახადის განაკვეთები დადგენილია დაწესებული ლიმიტის ფარგლებში მავნე ნივთიერებით გარემოს დაბინძურებისთვის. მაგალითად: მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ჰაერში გამოფრქვეული 1 ტონა აზოტის ორჟანგისა და ამიაკისთვის გადასახადის განაკვეთი შეადგენს 112,5 ლარს, ნახშირწყალბადისთვის 300 ლარს, მეთილის სპირტისთვის 9 ლარს და ა.შ. წყალში მავნე ნივთიერებათა ჩაშვებისთვის (ცხაღია, ლიმიტის ფარგლებში), მაგალითად 1 ტონა ქლორიდებისთვის 0,2 ლარი, რკინისა და ალუმინის 1 ტონისთვის 78 ლარი და ა.შ. 1 ლიტრა რეალიზებულ ბენზინზე საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 0,03 ლარს, ნავთზე 0,02 ლარს და ა.შ.

გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისას ზენორმატიული დატვირთვისთვის ორი ნაწილისგან შედგება.

პირველი გადაიხდება საზღვრის გადაკვეთისთანავე საბაჟო დეპარტამენტის მიერ და გადაირიცხება საგზაო ფონდში, ხოლო მეორე - ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზენორმატიული დატვირთვისთვის, რასაც განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალების გაბარიტები, წონა და სხვა პარამეტ-

რები, გადაირიცხება იმავე ფონდში, მაგრამ აიკრიფება საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. აღნიშნული გადასახადის გადამხდელებია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ან კიდევ „საქართველოში რეგისტრირებული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება, თუ იგი საქართველოს ტერიტორიას გაივლის ტრანსპორტით ან ანხორციელებს ტვირთხილვას ზემონორმატიულ დატვირთვით“¹.

საგადასახადო განაკვეთები დიფერენცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობების და ტვირთამწეობის მიხედვით, მაგალითად მსუბუქი ავტომობილების შემოსვლისთვის საქართველოს ტერიტორიაზე, მოქმედი საგადასახადო კოდექსით, დაწესებული საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 30 ლარს, ხოლო 40 ტონა ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილზე - 460 ლარს და ა.შ.

როგორც წინა პარაგრაფებში იყო აღნიშნული, ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობის, სათამაშო ბიზნესის, საკურორტო, სასტუმროს, რეკლამის, მანქანების პარკირებისა და ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენების გადასახადები, როგორც მოქმედ საგადასახადო კოდექსშია აღნიშნული „სამეწარმეო საქმიანობისთვის გადასახადს იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც შესაბამისი ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას. „გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება ღღ-ის გარეშე პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდებით მიღებული შემოსავლების (მატერიალური დანახარჯების გარეშე) არაუმეტეს 1,0 პროცენტით, მათ შორის, საქართველოს ნავსადგურებისა და მათთან გათანაბრებული ნავმისადგომებზე გემების ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლების არაუმეტეს 2 პროცენტით ღღ-ის გარეშე“².

¹იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 225

²იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 231

სათამაშო ბიზნესის (კაზინოები, ლატარიები და სხვა) შემოსავლები დამატებული ღირებულების გადასახადით არ იბეგრება.

საერთო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება დიფერენცირებულად სათამაშოების სახეების მიხედვით. მაგალითად, სათამაშო ავტომატი იყვება თვეში არაუმეტეს 200 ლარისა, ლატარიების მოწყობა შემოსავლების არაუმეტეს 20 პროცენტისა და ა.შ.

საკურორტო გადასახადს იხდიან ფიზიკური პირები საკურორტო ადგილებში დასვენებისა და მომსახურებისთვის თვეში 1 კაცზე 10 ლარის ოდენობით.

სასტუმროს გადასახადს იხდიან ის იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც სასტუმროებში, პანსიონატებში, მოტელებში საცხოვრებელ ფართს ღროებით გასცემენ სათანადო ანაზღაურებით. განაკვეთი განისაზღვრება ფართით სარგებლობის ფასის არა უმეტეს 2 პროცენტის ოდენობით.

რეკლამის გადასახადს იხდიან ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც შეიძენენ და ავრცელებენ რაიმე სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის რეკლამებს. გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება რეკლამის შექმნისა და გავრცელების ფასის არაუმეტეს 10 პროცენტის ოდენობით დღგ-ის გარეშე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისთვის გადასახადს როგორც მოქმედ საგადასახადო კოდექსშია აღნიშნული, „...იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს განათავსებენ შესაბამისი ქალაქის (სხვა დასახლებული პუნქტების) ქუჩებში ან საზოგადოებრივ ადგილებში, ან რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას პარკირებისთვის სპეციალურად გამოყოფილი ფუნქციონირების გზით“⁴¹. გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 30 თეთრის, ხოლო იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ამ სახით ეწევიან სამეწარმეო მომსახურებას, საერთო შემოსავლის 20%-ით.

გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის

⁴¹იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ. გვ. 235

დაწესებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც იყენებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დამტკიცებულ სიმბოლიკას: გერბს, ქალაქის ხელებს, ძეგლების არქიტექტურულ გამოსახულებებს და სხვა. გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება სიმბოლიკის გამოყენებით საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლის არაუმეტეს 2 პროცენტის ოდენობით.

3. გადასახადების მოცულობის სტატისტიკური შესწავლა

ფისკალური სტატისტიკის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა, თანამედროვე პირობებში გადასახადების საერთო მოცულობის შესწავლა. ეს ამოცანა სტატისტიკის მიერ შეისწავლება გადასახადების ცალკეული სახეობების მიხედვით, რომლებიც ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შეგესების ძირითადი წყაროებია. თითოეული სახეობის გადასახადის (იქნება ეს საერთო სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი დანიშნულების) მოცულობა განისაზღვრება საგადასახადო ბაზისა და განაკვეთების მიხედვით. ასე მაგალითად, თუ დამატებული ღირებულების დასაბეგრავე ბაზა შეადგენს 20,0 მლნ ლარს, მაშინ მისმა საგადასახადო მოცულობამ უნდა შეადგინოს

$$\frac{20.0\text{მლნ. ლარი} \times 20}{100} = 4 \text{ მლნ.ლარი.}$$

ასეთნაირად გაიანგარიშება, აგრეთვე, საშემოსავლო გადასახადის მოცულობაც. მაგალითად, თუ 300 ლარი შეადგინა იურიდიული ან ფიზიკური პირის შემოსავალმა თვეში, მაშინ საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 24 ლარს მიმატებული 300 ლარსა და 200 ლარს შორის სხვაობის 15% ანუ 15 ლარი. სულ საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 39 ლარს და ა.შ.

ცალკეული სახეობის გადასახადების მოცულობათა საერ-

თო ჯამი წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობას რეგიონებსა და მთელს ქვეყნებში. როგორც ჩანს, საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობა დამოკიდებულია საგადასახადო ბაზასა და საგადასახადო განაკვეთებზე. უცხოეთისა და სამამულო საგადასახადო პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკაში გაცხოველებული დისკუსია მიმდინარეობს აღნიშნული პარამეტრებისა და განსაკუთრებით საგადასახადო განაკვეთების ოდენობის შესახებ, საქართველოში, მაგალითად, დღემდე შეუწელებელი კრიტიკაა მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიმართ. მეცნიერთა დიდი უმრავლესობა, აგრეთვე, პრაქტიკოსი მუშაკები (ბიზნესმენები, მეწარმეები, მარკეტოლოგები და სხვ.) მას მიიჩნევენ კორუფციულ სისტემად, რომელიც „მახრჩობელა“ საგადასახადო განაკვეთების გამო, ანელებს მეწარმეთა აქტივობას, ხელს უწყობს, ბიუჯეტის გვერდის ავლით, შეღავათიანი არალეგალური გადასახადების გადახდას ხელისუფლებაში მოკალათებული კორუპციონერების ჯიბის სასარგებლოდ, ფარული და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერებას, ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის გადიდებას, ქვეყანაში უხელფასო, უპენსიო და უსტიპენდიო მოქალაქეთა დიდი, მშვიერი მასის არსებობას და სხვა უარყოფითი, ნეგატიური მოვლენების განვითარებას. დაბეგვრისა და საგადასახადო სისტემის თეორია მუდამ იყო ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრში¹. ამჟამად ეკონომიკურ თეორიაში გავრცელებულია ლაფერის ეფექტი², რომელიც მინიშნებს,


¹იხ. მაგალითად, ადამ სმითი (ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“) დავით რიკარდო (ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიკისა და დაბეგვრის შესახებ“) I კარლ მარქსი (ნაშრომი „კაპიტალი“), ჯონ მეინარდ კეინზი (ნაშრომი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის თეორიის შესახებ“) და სხვა

²იხ. ლ. ჩიქავა, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბ. 1997 წ. გვ. 357

ჯ. კახნიაშვილი, მიკროეკონომიკა, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბ. 1996 წ. გვ. 435-436

რომ საგადასახადო განაკვეთების კლებას პირველ ხანებში თან სდევს საგადასახადო შემოსავლების შემცირება, მაგრამ შემდგომში მეწარმეთა გააქტიურების, მიზნების, ეკონომიკის აღმავლობისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით იზრდება საგადასახადო ბაზა ამ საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების მოცულობაც ან კიდევ პირიქით, საგადასახადო განაკვეთების გადიდება გარკვეულ ზომამდე ადიდებს შემოსავლებს, მაგრამ განსაზღვრული საფეხურიდან ეკონომიკის მოღუნების ან კიდევ ჩრდილოვანი და ფარული ეკონომიკის გაცხოველებით, იწყება მათი შემცირება. ცხადია, ლაფერის ეს ეფექტი, რომელმაც აშშ-ში რ. რეიგანისა და ინგლისში მ. ტეტჩერის ეკონომიკურ პოლიტიკას წარმატებებიც კი მოუტანა, საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო ბაზას შორის მხოლოდ კორელაციურ, სტატისტიკურ ურთიერთკავშირზეა დამყარებული და ამ ფაქტორთან ერთად სხვა უარყოფითად მოქმედი ფაქტორების (მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი წესრიგი, კორუფცია და სხვ.) გავლენით შეიძლება საწინააღმდეგო სურათიც მივიღოთ.

ლაფერის ეფექტის ვარაუდული ხასიათი მისი მრუდიდანაც ჩანს. ამ მრუდით (იხ. ნახაზი).



ძნელია დავადგინოთ საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, მეცნიერთა მოსაზრებანიც. აი, რას წერს ამის თაობაზე ვ. კახნიაშვილი: „კეინზიანები უარყოფითად მოეკიდნენ გადასახადების შემცირების პოლიტიკას, რამდენადაც იგი გამოიწვევდა ძალზე მსხვილ ბიუჯეტურ დეფიციტს, რომელიც თავის მხრივ, მკვეთრად დააჩქარებდა ინფლაციის ტემპს. მაგრამ მიწოდების თეორიის მომხრის, არტურ ლაფერის მტკიცებით, გადასახადის უფრო დაბალი განაკვეთი სავსებით შეთავსებადია ადრინდელ და უფრო მეტ საგადასახადო შემოსულ თანხასთან. მისი იდეა, რომელიც ამჟამად ცნობილია ლაფერის ეფექტის (შესაბამისად ლაფერის მრუდის) სახელწოდებით, იმით გამოიხატება, რომ გადასახადის განაკვეთის ზრდის კვალობაზე (ნულიდან 100%-მდე), საგადასახადო შემოსავალი გაიზრდება ნულიდან რომელიღაც მაქსიმალურ დონემდე, ხოლო შემდეგ შემცირდება ნულამდე. საგადასახადო შემოსავლის დაცემა დაკავშირებულია იმ დაშვებასთან, რომ უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთები აქვეითებენ ეკონომიკურ აქტიურობას და შესაბამისად საგადასახადო ბაზას. ეს ყველაზე კარგადაა ილუსტრირებული უკიდურეს წერტილში (იხ. ნახ.), სადაც გადასახადის განაკვეთი შეადგენს 100%-ს. ამ წერტილში საგადასახადო შემოსავალი მცირდება ნულამდე, რადგან 100%-იანი საგადასახადო განაკვეთი, ფაქტობრივად, არის შემოსავლის კონფისკაცია და აწერებს წარმოებას. ლაფერის მრუდის თანახმად, ამ წერტილამდე საგადასახადო განაკვეთის დიდი მნიშვნელობა უზრუნველყოფს საგადასახადო შემოსავლის მნიშვნელოვან სიდიდეს. მაგრამ საგადასახადო განაკვეთის შემდგომი გადიდება გამოიწვევს წარმოების სტიმულირების დაქვეითებას, რომლის შედეგად გადასახადით დაბეგრული ეროვნული შემოსავლის სიდიდე შემცირდება დაქვეითებული საგადასახადო შემოსავლის სიდიდემდე. აქედან გამომდინარეობს, რომ როცა საგადასახადო განაკვეთი Om-ზე მეტია, მაშინ გადასახადების შემცირება

გამოიწვევს საგადასახადო შემოსავლის გადიდებას. მაგრამ პრაქტიკაში ძალზე რთულია ამ წერტილის პოვნა (ხაზგასმა ჩვენია. ავტორი)!. ძნელია არ დავეთანხმოთ ავტორს.

ამიტომ ეკონომიკურ მეცნიერებასა და საგადასახადო პრაქტიკას სთავაზობთ საგადასახადო ოპტიმალური განაკვეთების დადგენის მეთოდოლოგიას, რომელიც ეყრდნობა რეალურ გაანგარიშებებს და არა ვარაუდებს. აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება წარმოების რენტაბელობისა და ჯამობრივი საგადასახადო განაკვეთის პროცენტულ ურთიერთშეპირისპირებას. რენტაბელობა ამ შემთხვევაში გაანგარიშებულია მოგების პროცენტული შეფარდებით წარმოების ხარჯებთან. ცნობილია, რომ ყოველგვარი გადასახადის გადახდა ამცირებს მოგებას და შესაბამისად რენტაბელობას. ამიტომ უმჯობესია გადასახადების ჯამობრივი განაკვეთი დაუპირისპირდეს არა საგადასახადო შემოსავლებს, არამედ წარმოების რენტაბელობას, რამეთუ ეს უკანასკნელი გვიჩვენებს, თუ როდის შეწყდება წარმოება და დაიწყება ეკონომიკური კოლაფსი. ამასთან ერთად, აუცილებელია რენტაბელობის დასადგენად ავიღოთ საშუალო მოგება, ვინაიდან სწორედ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთის (100%-იანი განაკვეთი) პირობებშიც კი გაჩერდეს არა ყველა წარმოება, არამედ მათი ძირითადი ნაწილი და ფუნქციონირება გააგრძელოს მაქსიმალური რენტაბელობის მქონე იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა. ამასთან, საშუალო მოგების გამოყენებით პირობებში ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დადგენა და მათი გამოყენება საგადასახადო სისტემაში წაახალისებს საწარმოებისა და ორგანიზაციების დიდ მასას, აიძულებს ჩამორჩენილებს, უარი თქვან რუტინულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე და დაწერგონ წარმოებაში თანამედროვე სისტემები, შრომის, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმები.

¹იხ. ვ. კახნიაშვილი, მიკროეკონომიკა, ნაწილი პირველი საგამომცემლო ფორმა „სიახლე“, თბ. 1996 წ. გვ. 435


მეთოდოლოგიურად დასადგენია, აგრეთვე, ჯამობრივი საგადასახადო განაკვეთის პროცენტული სიდიდე საბოლოო მოგების მიმართ. როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის გადასახადის პროცენტული განაკვეთი, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაწესებულია სხვადასხვა ბაზის მიმართ. ასე მაგალითად, მოგების გადასახადი თავისთავად მოგების მიმართაა გათვალისწინებული 20%-ის ოდენობით და მას გადაანგარიშება არ ესაჭიროება. დანარჩენი სახეობის გადასახადები სხვადასხვა ბაზების მიმართაა დაწესებული პროცენტობით ან ფიქსირებული ოდენობით ამა თუ იმ მაჩვენებლის ერთეულზე. ჩვენი გაანგარიშებისთვის კი საჭიროა ყველა მათგანი გადავიყვანოთ პროცენტულ ერთეულებში საშუალო მოგების მიმართ. სტატისტიკას გააჩნია მძლავრი მეთოდები, რომელთა დახმარებით მსგავსი ამოცანები წარმატებით შეიძლება გადაწყდეს. მაგალითისთვის, ავიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი გადასახადი, როგორიცაა დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია 20%-ის ოდენობით. იმისათვის, რომ დავადგინოთ მოგების მიმართ რამდენი იქნება დამატებული ღირებულების გადასახადი პროცენტობით, საჭიროა ვიცოდეთ მოგების ხვედრითი წილი დამატებულ ღირებულებაში. დავუშვათ, რომ ის შეადგენს 10%-ს. თუ დამატებული ღირებულების მოცულობას 100%-ად მივიჩნევთ, მაშინ შეგვიძლია შევადგინოთ პროპორცია:

$$\frac{100 - 20}{10 - X} = \frac{100 - 20}{10 - X}$$

$$X = \frac{10 \times 20}{100} = 2\%$$

მოკლედ, შეიძლება ეს გაანგარიშება ასე ჩამოვაყალიბოთ: დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი გავამრავლოთ კოეფიციენტის სახით გამოსახულ მოგების დამატებულ ღირებულებაში ხვედრით წილზე: 20.0, 12%. თუ მო-

გების მიმართ ასეთნაირად დავადგენთ ცალკეული სახის საგადასახადო განაკვეთების ოდენობას პროცენტობით, თავისთავად ცხადია, რომ მათი ჯამი მოგვეცემს გადასახადების ჯამობრივ განაკვეთს, თუ დეკარტეს მარკუთხა კოორდინატთა სისტემის ორდინატთა ლერძზე გადავზომავთ გადასახადების ჯამობრივ განაკვეთებს, რომლებიც დადგენილია მოგების მიმართ პროცენტობით და აბსისთა ლერძზე / რენტაბელობის პროცენტებს (მოგება წარმოების დანახარჯების მიმართ გამოსახული პროცენტობით), მივიღებთ შემდეგი სახის გრაფიკულ გამოსახულებას (იხ. ნახაზი):



რენტაბელობისა და ჯამობრივი გადასახადების ურთიერთგადამკვეთი წერტილები ($K_1, K_2, K_3, \dots, K_{10}$) ONK_1 სამკცთხედის ჰიპოტენუზზე გაივლის. ეს წერტილები იმავდროულად შესაბამისი მართკუთხედების ერთ-ერთ წვეროზეც მდებარეობს. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ გადასახადის ჯამობრივი განაკვეთის ზრდასთან ერთად მცირდება რენტაბელობის დონეც 100%-დან 0-მდე (K_1 წერტილში რენტაბელობის დონე, გადასახადის 0-ოვანი განაკვეთის პირობებში, უდრის 100%-ს, ე.ი. მთლიანად მთელი მოგება გადასახადის გადამხდელებს რჩე-

ბათ, სამაგიეროდ, N წერტილში, სადაც გადასახადის ჯამობრივი განაკვეთი 100%-ია, რენტაბელობა 0-მდე ეცემა, სადაც უკვე გადასახადის გადამხდელთა მთელი მოგება ბიუჯეტში გადაირიცხება, საწარმოებს აღარ რჩებათ არსებობის საშუალებანი და ჩერდებიან. მაშ, ისმება კითხვა, ჰიპოტენუზის რომელ წერტილში უნდა შევჩერდეთ და დავადგინოთ გადასახადების ჯამობრივი განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე? ამისთვის განვიხილოთ $K_1, K_2, K_3, \dots, K_{10}$ წერტილების შესაბამისი მართკუთხედების ფართობები. თუ დავაკვირდებით ამ ფართობებს, ვნახავთ, რომ ისინი წარმოადგენენ გადასახადების ჯამობრივი განაკვეთებისა და რენტაბელობის ნამრალს (მაგალითად, პირველი მართკუთხედის ფართობია 10%-იანი საგადასახადო განაკვეთისა და 90%-იანი რენტაბელობის ნამრავლი, მეორესი 20%-იანი საგადასახადო განაკვეთისა და 80%-იანი რენტაბელობის ურთიერთნამრავლი და ა.შ. ეს ფართობები განაწილების ასეთ მწკრივს იძლევა:

$$\begin{array}{lll} 10 \times 90 = 900, & 20 \times 80 = 1600, & 30 \times 70 = 2100, \\ 40 \times 60 = 2400, & 50 \times 50 = 2500, & 60 \times 40 = 2400 \\ 70 \times 30 = 2100, & 80 \times 20 = 1600, & 90 \times 10 = 900. \end{array}$$

როგორც ჩანს, ეს ფართობები ჯერ იზრდება, აღწევს მაქსიმუმს (2500-ს) და შემდეგ ისევ მცირდება. თითოეული მართკუთხედის ფართობი ეკონომიკურად ასახავს ორი მხარის, გადასახადის გადამხდელისა და ბიუჯეტის ინტერესების ერთობლიობას. დავარქვათ ამ ინტერესების ერთობლიობას სტატისტიკური ეფექტი და ვნახოთ რომელი მართკუთხედის ფართობი ასახავს თანაბრად ორივე მხარის ინტერესებს. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ეს ინტერესები მხოლოდ და მხოლოდ მართკუთხედის, K_6 წერტილის შესაბამისი მართკუთხედის ფართობშია გაერთიანებული. დანარჩენში კი თუ ერთის ინტერესები ძლიერდება

მეორის ინტერესები სუსტდება. ამიტომ ვფიქრობთ, გადასახადების ჯამობრივმა განაკვეთმა არ უნდა გადააჭარბოს 50%-ს მოგების მიმართ. ზემოთ მოტანილი ფართობების განაწილების მწკრივი ემორჩილება ნორმალური განაწილების კანონს და შეიძლება გამოისახოს ნორმალური განაწილების მრუდით:

$$Y = \frac{1}{\sigma \sqrt{2\pi}} \cdot e^{-\frac{t^2}{2}}$$

სადაც t არის ნორმირებული გადახრა $\left(t = \frac{x - \bar{x}}{\sigma} \right)$

$\Pi = 3.1415$, $e = 2.7182$, σ -საშუალო კვადრატული გადახრა. მაშასადამე, ნორმალური განაწილების მრუდი აიგება საშუალო არითმეტიკულია (??) და საშუალო კვადრატული გადახრის მაჩვენებელთა საფუძველზე. შესაბამისი მრუდის აგებისთვის ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მასხაითებლები ანუ ეფექტები¹ გავანაწილოთ მათი წონების მიხედვით:


სტატისტიკური ეფექტი: 900, 1600, 2100, 2400, 2500, 2400, 2100, 1600, 900.

თითოეული ეფექტის ხვედრითი წილი ან წონა საერთო ჯამისადმი (%): 5,5; 9,7; 12,7; 14,5; 15,2; 14,5; 12,7; 9,7, 5,5.

ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ ნორმალური განაწილების მრუდი, რომელსაც ექნება ასეთი სახე²:

¹კითხველს შეეახსენებთ, რომ სტატისტიკური ეფექტი ჩვენ ვუწოდებთ შესაბამისი მართკუთხედების ფართობს, რაც თავისთავად აერთიანებს ორი მხარის, გადასახადის, გადამხდელისა და გადასახადის მიძღვრება (ბიუჯეტის) ინტერესებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერესებს ასახავს მოგების განაწილების პროპორცია.

²მრუდის აგების მეთოდის იხ. ბ. გაბიაშვილის წიგნში სტატისტიკა, თბ. 1998 წ. გვ. 57, 58, 59



ნორმალური განაწილების მრუდი გვიჩვენებს, რომ იგი ასიმეტრიულად უახლოვდება აბსცისთა ღერძს, მაგრამ არასდროს მას არ დაემთხვევა. საწარმოთა დიდი ნაწილის გაჩერების პირობებშიც კი მოწინავე, მაღალრენტაბელური საწარმოები გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და არ ექნება ადგილი ეკონომიკის სრულ კოლაფსს.

მრუდი გვიჩვენებს, აგრეთვე, რომ სტატისტიკური ეფექტი ჯერ იზრდება, აღწევს რაღაც მაქსიმალურ მნიშვნელობას და შემდეგ ისევ მცირდება. მაშასადამე, მაქსიმალური ეფექტის მიხედვით, უნდა შევარჩიოთ გადასახადის ჯამობრივი განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე, სადაც ორივე მხარის ინტერესები გათანაბრებულია. ასეთია მოგების მიმართ 50%-იანი გადასახადების ჯამობრივი სიდიდე და სწორედ ესაა ოქროს შუალედი. ცხადია, რომ საბოლოო მოგების განაწილების ასეთი სქემა გამოდგება იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანა გადასულია სრულ საბაზრო ეკონომიკაზე, სახელმწიფო ატარებს ოპტიმალურ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, რომელიც ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირების ხელსაყრელ გარემოს, აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს ნაწილი მოგების შექმნაში არანაკლებია გადასახადის გადამხდელებზე. სწორედ სახელმწიფოს მიერ გატარებული ოპტიმალური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა წარმოშობს გადასახადების ამა თუ იმ განაკვეთის მიხედვით აკრეფის ეკონომიკურ საფუძველს. ამიტომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში, როცა სახელმწიფოს ქმედების ეფექტი დაბალია საგადასახადო გა-

ნაკვეთებშიც შედარებით მცირე უნდა იყოს, ხოლო შემდგომში წარმოების განვითარებისა და აღმავლობის, აგრეთვე ქვეყანაში მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარების გაძლიერების კვალობაზე იქნება საგადასახადო განაკვეთების გადიდების ეკონომიკური საფუძველები. ცხადია, აქ ლაპარაკია ჯამობრივი საშუალო საშადასახადო განაკვეთის დადგენაზე, რომელსაუ აყალიბებს ცადკეული გადასახადის განაკვეთები. ეს უკანასკნელი კი ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული სექტორის განვითარებისა და სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, შეიძლება საშუალოზე მაღალი ან დაბალი იყოს.

4. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურისა და ღინამიკის სტატისტიკა

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურისა და ღინამიკის შესწავლა საგადასახადო სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა გვიჩვენებს, თუ როგორია დროის ამა თუ იმ პერიოდში საგადასახადო შემოსავლების შემადგენლობა სახეების მიხედვით და თითოეული შემადგენელი ელემენტების ხვედრითი წილი. მისი გაანგარიშება წარმოებს სტატისტიკის ზოგადი თეორიიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდის გამოყენებით. თითოეული საგადასახადო შემოსავალი გაიყოფა მთლიან შემოსავლებზე და გამრავლდება 100-ზე, რაც მოგვცემს სტრუქტურულ შემადგენლობას გამოსახულს პროცენტებში. რისთვისაა საჭირო იგი? პირველ ყოვლისა, არა მარტო წარსულისა და აწმყოს ანალიზისთვის, არამედ უმთავრესად სამთავრობო ფისკალური პოლიტიკის შემუშავების ადა მომავლის პროგნოზირებისთვის. თუ ისეთ გადასახადს, როგორცაა დამატებული ღირებულების გადასახადი, მცირე ხვედრითი ზილი უჭირავს საგადასახადო სტრუქტურაში, მაშინ შეიძლება ვი-

ფიქროთ ფარული და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერებაზე ქვეყანაში. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ საჭიროა გატარდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ უმთავრესად ეკონომიკური ღონისძიებანი მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა¹ 1997-1998 წლებში ასეთ სურათს იძლეობა:

№№	საგადასახადო შემოსავლების სახეობანი	სტრუქტურა %%-ებში	
		1997წ.	1998წ.
1	საშემოსავლო გადასახადი	8	12
2	დამატებული ღირებულების გადასახადი	56	56
3	საბაჟო შემოსავალი	17	18
4	მოგების გადასახადი	4	6
5	აქციზი	14	8
6	სხვა გადასახადები	1	-
	სულ	100,0	100,0

როგორც ჩანს, საგადასახადო შემოსავლების საერთო სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა დამატებული ღირებულების გადასახადი (56%), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დინამიკაში, 1997 წელთან შედარებით იგი არ გაზრდილა², მიზეზად დასახელებულია 1998 შლის გეგმის შეუსრულებლობა (230 მლნ ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შევიდა 101,6 მლნ ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებად 1998 წლისთვის დასახელებულია იმავე წლის მაისის თვემდე პურზე, მაკარონსა და ადგილობრივი წარმოების ფეკილზე 7%-იანი საგადასახადო განაკვეთის დაწესება (ნაცვლად 20%-ისა), კორუფცია საგადასახადო სისტემაში, სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპის შემცირება წინა წელთან შედარებით, რომელშიც თავისთავად

¹იხ. მოხსენება 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ თბ. 1999 წ. გვ. 9

²სტრუქტურაში გაზრდა ან შემცირება არ ნიშნავს აბსოლუტურად გაზრდას ან შემცირებას

ვად იმოქმედა საკრედიტო რესურსების მაღალმა საპროცენტო (სარგებელი) განაკვეთში (40-50%) და ა.შ.

თითოეული საგადასახადო შემოსავლის სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა ნიშნებით. მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი შეიძლება დარგობრივ ჭრილში განვიხილოთ, რაც საქართველოში შემდეგი სახის სურათს იძლევა:

დამატებული ღირებულების გადასახადის დარგობრივი სტრუქტურა 1995-1998 წლებში (%-ობით ჯამისადმი)

№№	დარგების დასახელება	1997წ.	1998წ.	1997წ.	1998წ.
	სულ	100,0	100,0	100,0	100,0
1	მრეწველობა	38,1	21,5	18,7	13,8
2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, გარემოს დაცვა	0,5	0,3	0,2	0,2
3	ტრანსპორტი	6,1	11	6,3	3,6
4	კავშირგაბმულობა	1,8	3,8	4,2	4,8
5	მშენებლობა	0,7	1,1	0,8	1,3
6	ვაჭრობა	2,2	15,3	25,3	27,7
7	სხვა დარგები	50,6	47	44,5	48,6

ეს სტრუქტურა მეტყველებს მასზე, რომ აღნიშნულ პერიოდში მკვეთრად დაეცა მატერიალური სფეროს წამყვანი დარგების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი) ხვედრითი წილი და არნახულად გაიზარდა ვაჭრობისა და სხვა დარგების (ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უშიშროება და საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო მმართველობა და მომსახურება და სხვ.) ხვედრითი წილი. ეს არის ბიუროკრატის არნახული ტემპებით ზრდა საქართველოში, რაც მძიმე ტვირთად აწევს ისედაც გადატვირთულ მშრომელ მოსახლეობას.

საგადასახადო შემოსავლების დინამიკა ანუ ცვალებადობა ღრობში, ქრონოლოგიური თარიღების (თვეები, კვარ-

¹იხ. მოხსენება 1998 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, თბ. 1999 წ. გვ. 12

ტლები, წლები და ა.შ.) მიხედვით შეიძლება შევისწავლოთ საინდექსო მეთოდის გამოყენებით. ცალკეული საგადასახადო შემოსავლების დინამიკა შეიძლება დავახასიათოთ ინდივიდუალური ინდექსით: $i = \frac{q_1}{q_0}$, სადაც i - ინდივიდუალური ინდექსია, q_1 - საგადასახადო შემოსავალია საანგარიშო პერიოდში, ხოლო q_0 იგივე მაჩვენებელია საბაზისო პერიოდში.

მაგალითად, 1998 წელს 1995 წლის მიმართ დამატებული ღირებულების გადასახადიდან შემოსავლები გაიზარდა მრეწველობიდან $i = \frac{q_1}{q_0} = \frac{2541 \text{ მლნ. ლარი}}{17608.0 \text{ მლნ. ლარი}} = 1.4$ ჯერ ანუ 40%-ით გაიზარდა, ვაჭრობიდან ანალოგიური გაანგარიშებით / 53,1-ჯერ და ა.შ.

გადასახადებიდან საერთო შემოსავლის (მიიღება ცალკეული საგადასახადო შემოსავლების შეჯამებით) დინამიკაც შეიძლება დავახასიათოთ ინდივიდუალური ინდექსის გამოყენებით. მაგრამ საერთო შემოსავლის ფაქტორული ანალიზის მიზნებისთვის ეს ინდექსი არ გამოგვადგება. ამიტომ უნდა მივმართოთ აგრეგატული ანუ საერთო ინდექსების გამოყენებას. ამ შემთხვევაში, როგორც საბიუჯეტო სტატისტიკის განხილვისას ვნახეთ, გადასახადების საერთო ცვლილებაზე მოქმედ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ საგადასახადო ბაზა და საგადასახადო განაკვეთი.

საბიუჯეტო შემოსავლების საერთო ინდექსების მსგავსად, აქაც საგადასახადო შემოსავლების აგრეგატული ინდექსები აიგება შემდეგნაირად:

$$I_{q\lambda} = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_0 \lambda_0} \quad (\text{საგადასახადო შემოსავლების საერთო, ანუ აგრეგატული ინდექსი})$$

როგორც ვიცი $I_{q\lambda} = I_q \times I_\lambda$ სადაც, q_1 და q_0 -საგადასახადო ბაზაა შესაბამისი პერიოდებში, I_1 და I_0 -საგადასახადო განაკვეთია (გამოსახული პროცენტის, არამედ კოეფიციენტის სახით).

5. საგადასახადო შემოსავლების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

საბიუჯეტო შემოსავლების მსგავსად (იხ. წინა თემა) საგადასახადო შემოსავლების ანალიზში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ წრფივი ერთფაქტორიანი ($Y = a_1 + a_1x$) და მრავალფაქტორული ($Y = a_1 + a_1x_1 + a_2x_2 + \dots + a_nx_n$) მოდელები, აგრეთვე პარაბოლური (თუ კავშირის ფორმა პარაბოლურია $Y = a_0 + a_1x + a_2x^2$), ჰიპერბოლური (თუ კავშირი ჰიპერბოლური ფორმისაა $-Y = a_0 + \frac{a_1}{x}$), ან მაჩვენებლიანი ფუნქციის ($Y = a_0a_1^x$) და ა.შ.

აქ მოტანილ ფორმულებში Y -საგადასახადო შემოსავლებია; x_1, x_2, \dots, x_n -საგადასახადო შემოსავლებზე მოქმედი ფაქტორებია (მთლიანი შიდა პროდუქტი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ფასები, გატარებული ფისკალური დონისიებისადმი და ა.შ.)

თემა 5. საბაჟო სტატისტიკა

1. სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა და სტატისტიკის ამოცანები

სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი მეშვეობით სახელმწიფო არეგულირებს როგორც საექსპორტო, ისე საიმპორტო ოპერაციების სტიმულირებას, აგრეთვე სამამულო წარმოების განვითარების წახალისებას და ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის საქმეს. აქედან ცხადია, რომ საბაჟო საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია საგარეო ვაჭრობა ანც ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე. საბაჟო ტერიტორია მოიცავს ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიას, აგრეთვე, შიდა წყლების, საჰაერო სივრცეს, განსაკუთრებულ საზღვაო ეკონომიკურ ზონაში შექმნილ ხელოვნურ კუნძულებს, დანადგარებსა და ნაგებობებს, რომლებზედაც ვრცელდება მოცემული ქვეყნის განსაკუთრებული იურისდიქცია. საბაჟო სამსახურის მეთვალყურეობას ექვემდებარება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთისას ანუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოველგვარი საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერი წესით შემოტანა ან ამ ტერიტორიიდან მათი გატანა, მათ შობის გაგზავნა საერთაშორისო საფოსტო, მილსადენი ტრანსპორტის ან ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით.

ქვეყნის საბაჟო პოლიტიკა არა მარტო ექსპორტ-იმპორტის, საშინაო ბაზრის დაცვის და საგარეო ვაჭრობის განვითარების ეკონომიკურ ურთიერთობებს გულისხმობს, არამედ სხვა ქვეყნებთან საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით, მათთან ორმხრივი და მრავალმხრივი საბაჟო ხელშეკრულებების დადებით საერთოდ ქვეყნის აქტიური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას უწყობს ხელს. საქართველოს საბაჟო კო-

დექსში ჩაწერილია: „საქართველოს საბაჟო პოლიტიკის მიზნებია: საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება და შიდა ბაზრის დაცვა, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტიმულირება, საქართველოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანების განხორციელება. ამ მიზნების შესაბამისად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას საბაჟო სტატისტიკის წინაშე. ის არის სოციალურ ეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის საბაჟო მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში, კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ეს მოვლენები და პროცესები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, რომლებიც აგრეთვე საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის შესწავლის ობიექტაცაა და საბაჟო გადასახადები, რომელიც ფისკალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტია. ამიტომ ამ კუთხით საბაჟო სტატისტიკა ფისკალური სტატისტიკის ნაწილიცაა და შეისწავლება მოცემულ კურსში².

ზოგადი საბაჟო სტატისტიკის ამოცანებია:

1. საბაჟო პოლიტიკის გატარებისა და საგარეო ვაჭრობის რეგულირების, აგრეთვე სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებების და ოპერატიულ-კომერციული მუშაობისთვის სამთავრობო ორგანოების უზრუნველყოფა საიმედო და უტყუარი სტატისტიკური ინფორმაციით;

¹საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბ. 1998, გვ. 3

²საბაჟო სტატისტიკა, როგორც დამოკიდებული საბაჟო დისციპლინა, ცალკე კურსად ფიგურირებს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში. მაგ. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში რუსეთის ფედერაციაში შეიქმნა რუსეთის საბაჟო კომიტეტი, რომელმაც უცმილობლად წარმოშვა რუსეთის საბაჟო აკადემია, სადაც იკითხება საბაჟო სტატისტიკა დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად.

2. საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო ოპერაციების მოცულობის, სტრუქტურის, დინამიკისა და სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირის სტატისტიკური შესწავლა;

3. საგარეო და საბინაო ბაზრების (საგარეო ვაჭრობის საქონლის მიხედვით) კონიუქტურის, სტრატეგიისა და ტაქტიკის შესწავლა;

4. საბაჟო გადასახადების მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;

5. საგარეო-საბანკო სავალუტო ოპერაციების სტატისტიკური შესწავლა;

6. საგარეო სავაჭრო ბალანსის შედგენა.

2. საბაჟო გადასახადები და მათი სახეობანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბაჟო დეპარტამენტიდან გადასახადების შემოსულობათა შესწავლა ფისკალური სტატისტიკის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. საბაჟო გადასახადებს განეკუთვნება საბაჟო, დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი. საბაჟო გადასახადის გადამხდლებია იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც აწარმოებენ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს. მისი საგადასახადო ბაზაა ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, ხოლო ამჟამინდელი განაკვეთი საქართველოში 12%. დამატებული ღირებულებიდან და ატციზიდან საბაჟო შემოსავლები განისაზღვრება ისეთნაირად, რაც ნაჩვენებია იბო წინა თემაში.

გადასახადების გარდა, საბაჟოში გადაიზღვევინება, აგრეთვე, ე.წ. მისაკრებლები საბაჟო პროცედურებისა და ლიცენზირების გაცემისთვის. საქართველოს საბაჟო კოდექსში ჩაწერილია: „საბაჟო კონტროლიდან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების (საქონლის სახით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) მოხსნისას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, აგრეთვე, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების საბაჟო პროცე-

დურების გაოფრძებისა და საბაჟო ორგანოების მიერ ლიცენზირების გაცემისთვის პირები იხდიან სათანადო მოსაკრებლებს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით“.

3. საბაჟო გადასახადების მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის სტატისტიკური შესწავლა

საბაჟო-ფისკალური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, საბაჟო გადასახადების, აგრეთვე, მოსაკრებლების მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა. მოცულობას განსაზღვრავს საგადასახადო ბაზისა და განაკვეთების ცვალებადობანი.

მთავრობის ფისკალური პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს საბაჟო შემოსავლების მოცულობას. ეს დამოკიდებულია საექსპორტო და საიმპორტო საბაჟო განაკვეთების ცვალებადობაზე, რაც გამომდინარეობს სამამულო წარმოების განვითარებისადმი პროტექციონისტური პოლიტიკიდან. აქ იგულისხმება საექსპორტო ნაწარმზე საბაჟო გადასახადების მთლიანად მოხსნა, ან კიდევ მისი განაკვეთების შემცირება. ცხადია, ამ შემთხვევაში საბაჟო შემოსავლების მოცულობის გაზრდა მთლიანად დაეკისრება საიმპორტო საქნელზე საბაჟო განაკვეთებს. თუმცა ამ უკანასკნელთა გადიდებასაც აქვს გარკვეული ეკონომიკური საზღვარი. ასე მოხდა, მაგალითად, 1995 წლიდან რუსეთის ფედერაციაში, რომლის საგარეო ვაჭრობის საბაჟო შემოსავლებში საექსპორტო საბაჟო შემოსავლებს დაახლოებით 70% ეჭირა. რუსეთის ფედერაციის მთავრობა წავიდა საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით მასზედ საბაჟო გადასახადის ლიკვიდაციისა და ზოგიერთ საიმპორტო საქნელზე საბაჟო გადასახადის გადიდების გზით. ასე მოხდა, მაგალითად, ავტომანქა-

¹საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბ. 1998 წ. გვ. 23

ნებზე, რომელთა საიმპორტო გადასახადი გადიდა 1000 პროცენტით. ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლების მკვეთრი დაქვეითება. ასე ხდება საქართველოშიც, სადაც ბოლო პერიოდში გატარებულმა სამთავრობო ფისკალური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად და დაუსაბუთებლად გადიდა საიმპორტო ავტომანქანებზე განბაჟებისა და სხვა სახის სარეგისტრაციო გადასახადები. შედეგად გამრავლდა საქართველოს მაცხოვრებელთა მიერ ცხინვალში საიმპორტო ავტომანქანების განბაჟებისა და რეგისტრაციის შემთხვევები, რამაც დიდად დააზარალა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. მაიტომ ცხადზე უცხადესია, რომ საბაჟო შემოსავლების მოცულობა დამოკიდებულია სამთავრობო ფისკალურ პოლიტიკაზე, რაც აქტიურ გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის ურთიერთშეფარდებასა და საგადასახადო განაკვეთებზე.

საბაჟო შემოსავლების სტრუქტურა, რაც შულისხმობს მათ შემადგენლობას, აგრეთვე თითოეული შემადგენელი ნაწილის ხვედრით წილს, სტატისტიკის მიერ განიხილება სხვადასხვა ნიშნებით. მათ შორის გამოიყოფა არა მარტო თვით საბაჟო შემოსავლები და მოსაკრებლები, არამედ სასაქონლო ნომენკლატურა, ასორტიმენტი, ექსპორტი, იმპორტი და სხვ. ეს საშუალებას აძლევს სამთავრობო ოროანიზაციებს, მიიღონ ინფორმაცია გატარებული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობისა და მისი შეცვლის პროგნოზირების მიმართულებით.

საბაჟო შემოსავლების დინამიკა, ანც მათი ცვალებადობა დროში, ქრონოლოგიური თარიღების (თვეები, კვარტლები, წლები და ა.შ.) მიხედვით განიხილება ცალკეული საქონლის, ექსპორტის, იმპორტის, აგრეთვე მთელი სასაქონლო მოცულობის კრილში.

განგარიშების მეთოდოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ჩვენთვის უკვე ცნობილი დინამიკის შეფარდებითი სიდიდეები,

აგრეთვე დინამიკური მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები (დინამიკური მწკრივის ღონე, აბსოლუტური მატება, საგუალო აბსოლუტური მატება, ზრდისა და მატების ტემპები, საშუალოწლიური წრდისა და მატების ტემპები და ა.შ.), ინდექსები (ინდივიდუალური, საერთო ანუ აგრეგატული, საშუალო არითმეტიკული, საშუალო ჰარმონიული და ა.შ.), კორელაციუ-რეგრესიული განტოლებანი და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური სიდიდეები, რომელთა ერთობლიობას ქმნის სტატისტიკური მეთოდოლოგიის გამოყენების ფართო შესაძლებლობები საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საერთო ანუ აგრეგატული ინდექსების გამოყენების ფართო შესაძლებლობა. აქ პირველ რიგში შეიძლება ამ ინდექსების ფართოდ გამოყენება საქსპორტო ან საიმპორტო საქო-

ნელბრუნვის მოცულობათა გასაზომად: $I_q = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_1 p_0}$ შესაბა-

მისად, საქსპორტო ან საიმპორტო ფასების ცვალებადობას ზომავს ფასების საერთო ანუ აგრეგატული ინდექსი:

$I_p = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}$, იმდენად, რამდენადაც $I_{qp} = I_q \times I_p$ ჩვენ შეგ-

ვიძლია ორი ინდექსის საფუძველზე გავიგოთ მესამე, რომელიმე ჩვენთვის უცნობი, რაც დიდ მნიშვნელობას იძენს, ექსპორტ-იმპორტის ფაქტორულ ანალიზში.

იგივე საერთო ანუ აგრეგატული ინდექსები, ჩვენი აზრით, შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ საბაჟო გადასახადების დინამიკასა და ფაქტორულ ანალიზში. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორ ძირითად ფაქტორთან: საგადასახადო ბაგა ანუ ექსპორტ-იმპორტის მოცულობა საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში (q_1 და q_0) და საბაჟო გადასახადის ან მოსაკრებლების განაკვეთების კოეფიციენტი შესაბამის პერიოდებში (λ_1 და λ_2). საბაჟო გადასახადების საერთო მოცულობის დინამიკა

შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ინდექსით: $I_\lambda = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_1 \lambda_0}$,

საკუთრივ საბაჟო საგადასახადო ბაზის ანუ ექსპორტ-იმ-

პორტის ინდექსი: $I_q = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_1 \lambda_0}$, ხოლო საბაჟო საგადასახა-

დო განაკვეთების ინდექსი: $I_\lambda = \frac{\sum q_1 \lambda_1}{\sum q_1 \lambda_0}$, აქაც ამ სამ ინ-

დექსს შორის კავშირურთიერთობა შეიძლება ჩავწეროთ შემ-

დეგნაირად: $I_{q\lambda} = I_q \times I_\lambda$, რაც გამოგვადგება საბაჟო გადასა-

ხადების ცვალებადობის ფაქტორულ ანალიზში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასარია რ., მესხია ი., ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, თბ., 1996 წ.
2. Белиевский И. и др., Статистика, М. 1995 г.
3. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა, თსუ გამომცემლობა, თბ. 1998 წ.
4. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის ზოგადი თეორია, თსუ გამომცემლობა, თბ. 1994 წ.
5. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის მოკლე კურსი, თსუ გამომცემლობა, თბ. 1989 წ.
6. Габидзашвили Б. Статистические методы прогнозирования производства и потреблением в СССР, издание ТГУ, Т., 1981 г.
7. გამსახურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ. 1995 წ.
8. გამსახურდია გ. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბ. 1997 წ.
9. ეკონომიკური თეორია, თბ. საგამომცემლო ფირმა „სიანლე“, 1998 წ.
10. Елисева И. и др. Международная статистика, Минск, 1995 г.
11. Экономическая статистика, М. "Финансы и статистика", 1999 г.
12. Эрхард Л., Блфгосостояние для всех. Пер. сангл. М., 1991 г.
13. კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა, ნაწილი I, საგამომცემლო ფირმა „სიანლე“, თბ. 1996 წ.
14. კახნიაშვილი ხ. მაკროეკონომიკა, ნაწილი II, საგამომცემლო ფირმა „სიანლე“, თბ. 1997 წ.
15. კეინზი ჯ. დასაქმების, ფულისა და პროცენტის ზოგადი თეორია, თარგმანი რუსულიდან, ქუთაისი, 1995 წ.
16. კაკულია რ. საბურზანია ლ. ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნაწილი 6, თბ. 1993 წ.

17. კაკულია რ. ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 1997 წ.
18. Липпе П. Экономическая статистика, 1995 г.
19. მარქსი ე. კაპიტალი, ტომი 6, 1954 წ.
20. მაკონელი კრ. ბრიუს სლ. ეკონომიკის, ნაწილი I, თარგმანი რუსულიდან, თბ. 1993 წ.
21. Мир в цифрах, сияи. сборник. М. 1996 г.
22. Основные макроэкономические показатели стран содружества пезавысимых государств, 1990—1996, стат. сборник, М. 1997 г.
23. რიკარდო დ. პოლიტიკური ეკონომიკისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგმანი ინგლისურიდან, თბ. 1937 წ.
24. რა უნდა ვიცოდეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, თბ. 1999 წ.
25. სამუელსონი პ. ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკის (სახელმძღვანელო) ძირითადი შინაარსი, თარგმანი რუსულიდან, თბ. 1993 წ.
26. სმითი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების შესახებ, თარგმანი ინგლისურიდან, თბ. 1998 წ.
27. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებების შესახებ, თბ. 1994 წ.
28. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 1999 წ.
29. საქართველოს საბაჟო კოდექსი, თბ. 1998 წ.
30. Сиденко А. и др. Международная статистика, М. 1999 г.
31. Социальная статистика, "Финансы и статистика", М. 1999 г.
32. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, მოხსენება 1998 წლის სახელმწიფო საბიუჯეტო შესრულების შესახებ, თბ. 1999 წ.
33. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბ. 1999 წ.
34. Таможенная статистика, учебное пособие, М. 1997 г.
35. Фишер С. и др. Экономика, пер. САНС. М. 1993 г.
36. ქისტაური მ. ფულის, კრედიტისა და სარგებლის (პროცენტის) თეორიები, თბ. 1992 წ.
37. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ. 1997 წ.
38. Харченко Л. и др. Статистика, Новосибирск, 1995 г.

შინაარსი

შესავალი.....	3
თემა I. ფისკალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდი.....	4
1. ფისკალური სტატისტიკის ცნება და ამოცანები.....	4
2. ფისკალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდები.....	6
3. სტატისტიკური ერთობლიობანი და კანონზომიერებანი ფისკალურ მოვლენებსა და პროცესებში.....	8
4. ფისკალური სტატისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	12
თემა II. ფისკალური სტატისტიკა როგორც სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის მძლავრი იარაღი.....	14
1. სახელმწიფოს ისტორიული წარმოშობა და განვითარება.....	14
2. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები და ფისკალური პოლიტიკა.....	16
3. ფისკალური პოლიტიკის გატარების პრობლემები თანამედროვე საქართველოში.....	21
თემა III. საბიუჯეტო-ფისკალური სტატისტიკა.....	24
1. ბიუჯეტის ცნება და საბიუჯეტო-ფისკალური სტატისტიკის ამოცანები.....	24
2. ბიუჯეტის შემოსავლები და მათი სტატისტიკური შესწავლა.....	27
3. ბიუჯეტის დანახარჯები და მათი სტატისტიკური შესწავლა.....	35
4. ბიუჯეტის დეფიციტის (პროფიციტის) სტატისტიკური შესწავლა.....	54
თემა IV საგადასახადო სტატისტიკა.....	57
1. გადასახადების ცნება და სახეობა.....	57
2. საგადასახადო სტატისტიკის ამოსავალი ბაზების (პარამეტრებით) შესწავლა.....	59
3. გადასახადების მოცულობის სტატისტიკური შესწავლა.....	71
4. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურისა და დინამიკის სტატისტიკა.....	80

5. საგადასახადო შემოსავლების კორელაციურ- რეგრესიული ანალიზი.....	84
თემა V. საბაჟო სტატისტიკა.....	85
1. სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა და სტატისტიკის ამოცანები.....	85
2. საბაჟო გადასახადები და მათი სახეობანი.....	87
3. საბაჟო გადასახადების მოცულობის სტრუქტურისა და დინამიკის სტატისტიკური შესწავლა.....	88
გამოყენებული ლიტერატურა.....	91

Викентий Спиридонович Габидзашвили

Фискальная статистика

(на грузинском языке)

ნაშრომი გამოდის ავტორის ხარჯებით

შპს „ალტა“

შეკვეთა 4

ტირაჟი 200

თბილისი 2000